# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი პარასკევი 19 ოქტომბერი 2007 №242 (3165) ფასი 50 თეთრი



არის მატჩები, როცა ვერანაირ კრიტიკოსს ვერ მოუბრუნდება ენა გუნდის საძაგებლად. იქნებ, ცივი გონებით შევხედოთ და ვიპოვოთ გუშინწინდელ თამაშში ქართველთა ხინჯი? უძნელესი იქნება. შეიძლება ითქვას, საქართველო — შოტლანდია სწორედ ის მატჩი იყო, სადაც ერთმა გუნდმა პირწმინდად დაჩაგრა მეორე, საკადრო პრობლემების მიუხედავად, შანსი არ დაუტოვა ჯგუფის ლიდერს; როცა საჭირო იყო, პრაგმატიზმსაც მიმართა, თუმც მეტი ხანი ლაღ თამაშში გაატარა. კლაუს ტოპმიოლერი ბედნიერია — მისმა შეგირდებმა, როგორც იქნა, შეძლეს და კარგ თამაშს მოგებაც მიაყოლეს. ჰერ კლაუსი გუშინ 19-წლამდელთა შესარჩევი ციკლის ორ მატჩს დაესწრო: ჯერ რუსთავში ნორვეგია — ლატვია ნახა, მერე კი საქართველო — ჰოლანდიას უყურა, ჩვენც ტოპმიოლერს ინტერვიუ ამ მატჩების შემდეგ ვთხოვეთ...

# ბედნიერი ვარ, რადგან ბედნიერს გხედავთ!

## ტოპმიოლერი და საქართველო გერმანულ ფილმში

— ეჭვიც არ არის, შოტლანდიასთან ნაკრებმა საუკეთესო თამაში აჩვენა...

— ბედნიერი ვარ, რომ ქართველი გულშემატკივრები გავახარეთ. ის, რაც გუშინ ღამეს რუსთაველის პროსპექტზე ხდებოდა, ნათელი დადასტურებაა, როგორ უყვარს ქართველ ხალხს ფეხბურთი. ისინი ამ ზეიმს იმსახურებენ. მატჩის შემდეგ შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ალექს მაკლიშმაც მომილოცა მოგება და მითხრა, ფანტასტიკურად ითამაშეთო. განსაკუთრებით ლამაზი მეორე გოლი იყო.

— პირველი ტაიმის ბოლოს შოტლანდია მაგრად უტევდა, მეორეში კი ქართველებმა მთლიანად მოიპოვეს უპირატესობა. შესვენებაზე რა დავალება მიეცით ფეხბურთელებს?

— ჩვენ კარგად გვყავდა შოტლანდიის ნაკრები შესწავლილი. რაღაც უნდა დაგვეძლომოდა, ბურთს უნდა მოვფრთხილებოდით, ლაშა სალუქვაძესა და დავით კვირკველიასაც შეტევაში წასვლა მოვთხოვე. საერთოდ, დიდი პლუსია, როცა ბურთი შენ გაქვს — ამ დროს თამაშს აკონტროლებ და შეტევების არჩევანი გიჩნდება.

— შოტლანდიასთან ახალგაზრდებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელებიც დაბრუნდებიან და მძიმე მდგომარეობაში არ ჩავარდებით შემადგენლობის შერჩევისას?

— დავიწყოთ იმით, რომ ასეთი პატარა ასაკის ერთბაშად სამი ფეხბურთელის ძირითადში დაყენება დიდი რისკია. მით უმეტეს, ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც შოტლანდიაა. სამივემ მშვენივრად ითამაშა, არადა, ორი დღის წინ ვერავის წარმოედგინა, ასე კარგად თუ წარმოაჩენდნენ თავს. მეორეს მხრივ, ახალგაზრდა ახალგაზრდაა და მას მტკიცე სტაბილურობას ვერ მოვთხოვთ. ისინი ნელ-ნელა მივლენ აქამდე. ლიტვასთან მატჩში კი კვლავ არ გვეყოლება ლევან კობიაშვილი. და კიდევ, გულიანად ამოვისუნთქე, მალხაზ ასათიანისთვის გუშინდელი ყვითელი ბარათი მეორე რომ არ აღმოჩნდა. იმ მომენტში სათადარიგოთა სკამზე შეშფოთებულმა ვიკითხე, ხომ არ გამოტოვებდა ასათიანი ლიტვასთან თამაშს...

— დღეს 19-წლამდელთა თამაში ნახეთ და ამ გუნდიდანაც ხომ არ მოიწვევთ რომელიმე ფეხბურთელს უახლოეს მატჩებში? თუნდაც ამხანაგურში...

— ამ გუნდში ნამდვილად არიან პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ეროვნულ ნაკრებში თამაშის პოტენციალი, სწორედ ამიტომ არსებობს ასაკობრივი ნაკრებები, რათა შევსება მივიღოთ.

*და ერთიც: გუშინ „მიხეილ მესხზე“ ტოპმიოლერს უცხოელი სტუმრები ჰყავდა. როგორც შევიტყვეთ, ისინი გერმანული ტელევიზია ARD-ის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ტოპმიოლერზე და საქართველოს ნაკრებზე ფილმს იღებენ.*

**ილია ნანობაშვილი**

# მილანი საქმეში ერთვება: ასათიანი ოცნების კლუბში?



ხმები ხმებად და, ეს ამბავი უკვე სულაც არ არის დაუჯერებელი: იტალიურ „მილანს“ საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი მოეწონა და დიდი შანსია, იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში მოლაპარაკებებიც დაიწყოს.

ასათიანი „მილანს“ ჯერ კიდევ ზაფხულში, „რკინიგზის თასის“ გათამაშებისას ჩაუვარდა გულში და ამას ახლა იტალია-შოტლანდიასთან ნათამაშები სანაკრებო მატჩებიც დაემატა — იტალიელების ინტერესიც მკვეთრად გაიზარდა.

მოკლედ, კახა კალაძის ამჟამინდელი და მალხაზ ასათიანის ოცნების კლუბი საქმეში ერთვება და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ყოველ შემთხვევაში, „მილანი“ რომ „ლოკომოტივისთვის“ წინადადებას ამზადებს, იტალიურ-რუსული პრესისთვის სიურპრიზი სულაც არ არის.

და ერთიც: მილანელებამდე ასათიანით გელზენკირხენის „შალკეც“ დაინტერესდა და, როგორც შევიტყვეთ, ეს ინტერესი სულაც არ განელებულა.

# ეროვნულიდან ეროვნულამდე

## სამდღიანი ტური ცხელი დერბით

კარგი იქნებოდა, როგორც ოთხშაბათს ვნახეთ ეროვნული სტადიონი თითქმის გადაჭედილი, იმის ნახევრად მაინც შეივსოს ხოლმე ტრიბუნები ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე. ზღაპრად მოგეჩვენებათ, მაგრამ, უბრალოდ, სურვილი გამოვთქვით. არადა, რა აქვს „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ დასაწუნი? კარგი მატჩი გამოვა: უდანაკარგო ლიდერი ასევე ლიდერთა ჯგუფში მყოფ გუნდს მასპინძლობს. თანაც, ვიტელები არასდროს არაფერს უთმობენ დინამოელებს. მათთვის უხერხული მეტოქის სახელიც აქვთ დაგდებული. მოკლედ, დღეს-ხვალ-ზეგ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩებია და მოდით, ვნახოთ, ვინ ვინ არის...






# დიდება ჩვენ!

საოცარი, უბედნიერესი, უბრწყინვალესი დღე იყო 17 ოქტომბერი: ჩვენ გავიმარჯვეთ!

დიახ, ჩვენ! ჩვენ, ყველამ! მათ მოედანზე და ჩვენ ტრიბუნიდან!

უკაცრავად, 14 ოქტომბრის მატჩი, იტალია — საქართველო ცნობილ რუსულ საფეხბურთო არხზე ხომ არ გინახავთ? რეპორტაჟი ვლადიმირ მასლაჩენკოს მიჰყავდა და მის მონოლოგს ერთ-ერთ მთავარ თემად, იცით, რა გასდევდა? გაოცება: რატომ თამაშობენ ქართველები გაუბედავად?!

ანუ, იმ დღეს, გენუაში, ჩვენები ბევრი თვალსაზრისით, თითქოს ცუდად არ თამაშობდნენ, მაგრამ... მიდი, რა, ცოტა თამამად!

აი, ოთხშაბათს „ეროვნულზე" ეს სითამამე ზუსტი რიცხვით გაიზომა: 44 ათასი მაყურებელი. და ამიტომაც ვამბობთ, რომ ჩვენ მოვიგეთ. ოღონდ, იმას არ ვგულისხმობთ, ქუჩაში დანახულ შოტლანდიელს ვილაცები „ეი, ფაქ იუს" რომ ეძახდნენ. ტალღებს ვგულისხმობთ, „საქართველო, საქართველოს" და „გო-ლი, გო-ლის" ყვირილს ვგულისხმობთ. ოვაციებს ვგულისხმობთ.

მოკლედ, გამგები გაიგებს...

მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ბიჭებმა მოიგეს.

საინტერესო საკითხავი იყო გუშინდელი შოტლანდიური პრესა. იქაურ გაზეთებს, ინტერნეტში, თბილისში ნამყოფი ჟურნალისტების სტატიათა ძირში „გამოხმაურებების ყუთი" ჰქონდათ მიდგმული და უნდა გენახათ, რა ამბავი იყო. ყოველი მეორე-მესამე მკითხველი ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს ნაკრებმა სამი 17 წლის ფეხბურთელით გაიმარჯვა. ბევრი თავისიანებზე ბრაზდებოდა, ბავშვებმა პროფესიონალები როგორ დაამარცხესო, ზოგიც ამ ბავშვებს გვიქებდა. ერთი სიტყვით, მთავარი სალაპარაკო ამ სამი 17 წლის ბიჭის — ლევან მჭედლიძის, ლევან ყენიას და გიორგი მაკარიძის — ამბავი იყო და თემა ისე გაიბერა, რომ ერთმა თქვა, თერთმეტმა ქართველმა პატარამ ამხელა გუნდი დაგვიკნინაო. მოკლედ, ეფექტი მოვახდინეთ და ეს ეფექტი, მგონი, იმდენად გამარჯვებით არ იყო განპირობებული, რამდენადაც იმით, რომ ჩვენს გუნდში ყმაწვილები თამაშობდნენ.

თუმცა, მოდით, სხვებსაც თავისი წილი ქება ვუთხრათ. მაგალითად, ჯაბა კანკავა, რომელიც 17 წლისა სულ რაღაც სამი წლის წინ გახლდათ, ამ დღესაც ფანტასტიკური იყო და შაბათს, იტალიაშიც. მალხაზ ასათიანზე აღარაფერს ვამბობთ...

და ყოჩაღ, უკლებლივ ყველას. ეს მათ გაიმარჯვეს, იმიტომ, რომ ჩინებულად ითამაშეს.

იმიტომ, რომ ნამდვილი ფეხბურთი ითამაშეს.

და, ცხადია, ვაშა და დიდება კლაუს ტოპმიოლერს. ამ ბიჭებს ნამდვილი ფეხბურთი მან ათამაშა. ჩვენი გუნდის გერმანელმა სპეციალისტმა ტრადიციულად ირონიულ ბედს სწორად გაუგო და როდესაც დაინახა, რომ მან ძირითადი შემადგენლობიდან ხან ერთი დაუშავა, ხან მეორე და ხანაც მესამეს ყვითელი ამოულო, თამამი ნაბიჯი გადადგა — ბედის გაფილტრულ და შერჩეულ შემადგენლობას ენდო და აუხსნა, თუ როგორ უნდა ითამაშოს ნაღდი ფეხბურთი. ხოლო, რა-რა და, ნაღდი ფეხბურთის ამბები ჰერ ტოპმიოლერმა ძალიან კარგად იცის.

ერთი სიტყვით, ბატონებო, ჩვენ გავიმარჯვეთ!

და კიდევ, ამიერიდან წინ ახალი საქმეები გველის, ოღონდ მათზე საუბრისგან დღეს, მოდით, თავი შევიკავოთ.

**ბაჩუნა ძიდია**

**ინგლისი**

**კონფერენსლიგა. XVII ტური**

**სტივენეიჯი 3:3 ბარტონი**

# იყო ბაიერნიც...

## ლევან მჭედლიძე იტალიური თვალით

საქართველო — შოტლანდიის ნამატჩევს იტალიურმა „გაძეტა დელო სპორტმა" სიამაყით დაწერა, ნახეთ, ჩვენი „ემპოლის" ფეხბურთელმა ლევან მჭედლიძემ გოლი გაიტანაო. და, მერედა მიაწერა, მჭედლიძე ქართველია და „ემპოლის" ახალგაზრდული გუნდის წევრიაო.

გუშინ კი „ემპოლის" ვებგვერდმაც მიუძღვნა ქართველ თავდამსხმელს ვრცელი წერილი, არადა, 2006 წლიდან ჰყავთ გუნდში და აქამდე, თითქოსდა არც იცოდნენო, ერთხელაც კი არ ჰყავდათ ნახსენები... ერთი სიტყვით, ნახეთ, ვინ ყოფილა „ემპოლის" „პრიმავერას" (ახალგაზრდული გუნდი) ლევან მჭედლიძე. ჩვენ კი აქვე გეტყვით, რომ ლევანის იტალიურ კარიერას სათავე იმ ჯანი კარნევალიმ დაუდო, ვინაც წლების წინ „ბათუმსა" და თბილისის „ვიტ ჯორჯიას" თავკაცობდა...




-ეს ყმაწვილი ფეხბურთელი ჯერ კიდევ 2006 წლის გაზაფხულზე შეამჩნია ჯანი კარნევალიმ. ლევან მჭედლიძე თბილისის ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. კარნევალი, რომელსაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს „ემპოლის" პრეზიდენტ ფაბრიციო კორსისთან, მჭედლიძის ტალანტით ძალიან მოიხიბლა და მისი გუნდში მიყვანა დაჟინებით სთხოვა აგენტ დავიდე ტორკიას, რომელიც, თავის მხრივ, „ემპოლის" ახალგაზრდული გუნდის წარმომადგენელს, მარჩელო კარლის დაუკავშირდა.

ტორკია და კარლი, ცხადია, დაინტერესდნენ და ბიჭზე დაკვირვება თავად გადაწყვიტეს. ისინი ბელგიაში გაემგზავრნენ, სადაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში თამაშობდა. 1990 წელს დაბადებული მჭედლიძე 89-იანების წევრი გახლდათ და ისე შთამბეჭდავად ითამაშა, ორივემ ტურნირის დასრულებისთანავე აღიარა მისი ტალანტი...

-ქართველი ლევან მჭედლიძე ხელიდან გასაშვები არ არისო, დაარწმუნეს „ემპოლის" პრეზიდენტი ტორკიამ და კარლიმ და, ფაქტობრივად, იმწამსვე გადაწყდა მისი ახალგაზრდულ გუნდში ჩარიცხვა. მით უფრო, ამ მართლაც ნიჭიერი ყმაწვილით, არაერთი გერმანული გუნდის სკაუტი მოიხიბლა, მიუნხენის „ბაიერნის" თამადობით. მარჩელო კარლიც ნელ-ნელა დაუახლოვდა ახალგაზრდას, იგი მის არც ერთ ვარჯიშს არ აცდენს და ეცნობა ლევანის ოჯახს, მაგრამ, რაც მთავარია, კარლი მას შვილივით ეპყრობა და ყურადღებას არ აკლებს...

-„ემპოლის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა ეტორე დონატიმ მჭედლიძე გუნდთან ერთად პირველად 2006-ის სექტემბერში ავარჯიშა და მასთან იქამდე დაჰყო, ვიდრე 2007-ის მარტში მთავარი გუნდის მწვრთნელმა ლუიჯი კანიმ შეამჩნია. მისივე კატეგორიული მოთხოვნით, მჭედლიძემ „ემპოლის" ლიდერებთან, იგლი ვანუკისთან, ლუკა საუდატისთან, ნიკოლა პოტისთან და ლუკა ანტონინისთან ერთად გააგრძელა წვრთნა, ანუ ქართველი უკვე მთავარ გუნდშია...

...2007 წლის ივლისში ლევან მჭედლიძე ოფიციალურად გახდა „ემპოლის" ფეხბურთელი. ლევანი კლუბმა უეფას თასის განაცხადშიც შეიყვანა. ის უკვე თავისუფლად საუბრობს იტალიურად. მანამდე კი ენის ათვისებაში ძმა, გიორგი ეხმარებოდა...

...სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი ლევანისთვის უიღბლოდ დაიწყო, ვარჯიშისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და პროფესორმა კასტელაჩიმაც, რომელიც „ემპოლის" მთავარი ექიმია, დაგვაიმედა, საოპერაცია არაა, თუმც რამდენიმე კვირით დასვენება მოუწევსო. გადის ეს დროც და გუნდის სამედიცინო შტაბისა და ტექნიკური პერსონალის მეთვალყურეობით ლევანი კვლავ აგრძელებს ლუიჯი კანის გუნდში ვარჯიშს...

...ოქტომბერში მას საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ეროვნულ გუნდში იძახებს, მიუხედავად იმისა, რომ ლევანს არც ოპტიმალური ფორმა აქვს აკრეფილი და ოფიციალურ მატჩშიც არ უთამაშია. მჭედლიძეს გენუაში, იტალიის ნაკრებთან სათამაშოდ მარჩელო კარლიც ჩაჰყვა, იგი ცდილობს, დაარწმუნოს ტოპმიოლერი, რომ ლევანი ჯერ მზად არ არის, თუმც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი შეუვალია და კარლის კატეგორიული ტონით პასუხობს: მჭედლიძე მჭირდება!

შედეგად, ლევანი იტალიასთან საწყის 60 წუთს თამაშობს და მერე ცვლიან, თუმც ამ დროშიც აშკარად ჩანს: მას ერთი მნიშვნელოვანი თვისება აქვს...

და აი, სწორედ ეს ერთი მნიშვნელოვანი თვისებაც: შოტლანდიასთან მატჩის მე-16 წუთზე მჭედლიძე უზადო თავურით აწინაურებს საქართველოს ნაკრებს და სათავეს უდებს B ჯგუფის ლიდერთან საარაკო გამარჯვებას.

მერე ქართველთა მწვრთნელი თამაშის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე ცვლის მას და სავსე სტადიონის დასანახად გულში მხურვალედ იხუტებს, სტადიონი კი არანაკლები ტაშით აცილებს მოედნიდან მჭედლიძეს!

**გიორგი გაჩეჩილაძე**

# გამოვიდა, გამოჩნდა!

როგორც იქნა, გამოვიდა!

რანაირად, როგორ, რატომ და რისთვის, მგონი, უკვე ცხადია.

ხვალინდელი დღის ამბავი ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმ არაჩვეულებრივი ამბისა, გუშინწინ რომ მოხდა „პაიჭაძეზე".

ესე იგი, ხვალინდელი არსებობს და მეტიც, ის დღესვე არსებობს.

საქართველოს ნაკრები უკვე წარმოუდგენელია ამ ახალგაზრდა მსროლელების გარეშე. მეტიც, ჩვენი ფეხბურთია წარმოუდგენელი.

ახლა, ცხადია, რაც არის საჭირო: წინსვლა და მათი ზრდა ასეთ ბრძოლებში.

საერთოდ კი, ფეხბურთელს დღევანდელ მინდვრებზე ბევრად მეტი მოეთხოვება, ვიდრე ბევრი მათგანი მიჩვევია. უბრალოდ თამაში აღარაფერს იძლევა.

ამ ჩვენმა მაგარმა ახალგაზრდებმა კი ეს აშკარად იციან.

და, რაც მთავარია, მათ სულ სხვანაირი, თითქოს თავისუფალი ფეხბურთი გამოსდით.

ჩვენც ეს გვინდა: სწორედ ასეთი ფეხბურთი და სწორედ ასეთი ბიჭები.

როგორც იქნა: გამოჩნდა!

**გიო ახვლედიანი**

## უცხოური პრეს-პრესი

**BBC:** შოტლანდიის ნაკრებს ფეხი დაუცდა — საქართველომ, რომელმაც სამი თინეიჯერით ითამაშა, შოტლანდიის ევრო 2008-ზე გასვლას კვლავ კითხვის ნიშანი დაუსვა...

...ჩვენ შევძელით, ბოლო 80 წლიწადში პირველად მოგვეგო ზედიზედ 7 თამაში, მაგრამ მაკლიშის გუნდის ბოლოდროინდელი ბრწყინვალე სერია, ზედიზედ 6 გამარჯვებას რომ ითვლიდა, თბილისში შეწყდა...

...შოტლანდიამ მატჩი ჯგუფის ლიდერის რანგში დაიწყო და მოგების შემთხვევაში ავსტრია-შვეიცარიაში თამაშს თითქმის გაინაღდებდა, მაგრამ დამარცხდა გუნდთან, რომელსაც წამყვანი ფეხბურთელები აკლდა და რომელმაც სამი თინეიჯერით ითამაშა...

**GUARDIAN UNLIMITED:** უდიდესი ჩაფლავება — შოტლანდიის ნაკრების მარცხი სკოლის მოსწავლეებთან...

...საქართველოსთან მატჩში შოტლანდია არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც ოთხი დღით ადრე ერთი ამოსუნთქვით და სიხარულით დაამარცხა უკრაინა...

...სხვა გზა აღარ დაგვრჩა: ახლა მსოფლიოს ჩემპიონებთან გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ...

**UEFA.COM:** საქართველოს ნაკრების ექსპერიმენტულმა შემადგენლობამ შოტლანდიის ნაკრებს ფეხი დაუდო და ევროპის ჩემპიონატზე მის თამაშს კითხვის ნიშანი დაუსვა...

...საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა ძირითად შემადგენლობაში სამი ჭაბუკი ათამაშა. 17 წლის ლევან მჭედლიძემ ანგარიში გახსნა, 17 წლის გიორგი მაკარიძემ, რომელმაც პირველად ითამაშა ოფიციალურ მატჩი ეროვნულ ნაკრებში, გოლი არ გაუშვა, 16 წლის ლევან ყენია კი შეტევების ერთ-ერთი შემოქმედი იყო...

...ევროშესარჩევი ჯგუფის ლიდერი შოტლანდია დამარცხდა გუნდთან, რომლის დაცვამ მთელი მატჩის მანძილზე უშეცდომოდ და შესანიშნავად ითამაშა...

**TIMES ONLINE:** გულშემატკივრებს არასდროს დაავიწყდებათ შოტლანდიის ნაკრების უცუდესი თამაში თბილისში, მაგრამ ალექს მაკლიშმა და მისმა გუნდმა, თუ ევრო 2008-ზე გასვლა სურთ, საქართველოსთან მარცხი, რაც შეიძლება, მალე უნდა დაივიწყონ...

...ორივე ტაიმში გატანილი გოლები საქართველოს ნაკრების თამაშის ლოგიკური შედეგი იყო. გუნდი, რომელშიც სამი თინეიჯერი თამაშობდა და რომელსაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, შოტლანდიასთან შეუდარებელი იყო...

**THE SUN:** შოტლანდიის ნაკრების თავკაცმა ალექს მაკლიშმა გუშინ მთელ ერს მხოლოდ ერთი რამ სთხოვა: კვლავ ირწმუნეთ ჩვენი!

...შოტლანდიას შეეძლო, საქართველოც უკრაინის გზაზე გაეყენებინა, მაგრამ გუნდმა, რომელმაც აქამდე შესარჩევში მხოლოდ ორი მატჩი მოიგო, მშვენივრად ითამაშა და შოტლანდია მსოფლიოს ჩემპიონებს შეატოვა...

...მასპინძელთა თინეიჯერ მეკარე მაკარიძეს 75-ე წუთამდე საქმე არ ჰქონია, მერე კი მაკფადენის დარტყმა ადვილად მოიგერია. ის აუღელვებელი იყო...






ლევან მჭედლიძე და დავით სირაძე

# კაცები ბავშვების წინააღმდეგ

THE SCOTSMAN
SCOTLAND'S NATIONAL NEWSPAPER ONLINE

**დაგეგმილი** შტურმი დაბოლმილ უკუსვლად გვექცა — ევრო 2008-ის შესარჩევში შოტლანდიის ნაკრების გმირული სვლა ჩაინგრა. ალექს მაკლიშის პირველიდან ბოლო წუთამდე ყველა კომპონენტში დამარცხებულ გუნდს, როგორც ჩანს, ბევრი მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გამოკლებამ დაასვა დიდი დაღი. სკოტ ბრაუნის, ლი მაკკალოხის, ალან ჰატონის, და პოლ ჰარტლის არყოფნაში — ახალდაბრუნებულ დარენ ფლეტჩერს აშკარად ეტყობოდა უთამაშებლობა — „ბორის პაიჭაძეზე" ვიხილეთ გუნდი, რომელიც იმის ნარჩენებსაც კი არ მოგვაგონებდა, ბოლო ერთ თვეში საფრანგეთს და უკრაინას რომ მოუგო. ჯერ კიდევ ლევან მჭედლიძის გოლამდეც ნათლად ჩანდა, რომ ქართველები გვარიანი უპირატესობით მოიგებდნენ და ეს შთაბეჭდილება მეორე ტაიმში მასპინძელთა მეორე თავდამსხმელის, დავით სირაძის მეორე გოლმა განგვიმტკიცა.

მჭედლიძის გოლი არც მოულოდნელი იყო და არც დაუმსახურებელი, ვინაიდან მანამდე გასული 15 წუთის განმავლობაში ქართველები თვალშისაცემად უფრო აგრესიულნი და სახიფათონი იყვნენ. და, როგორც ჩანს, სქოთებისთვის ეს სრულიად გამაოგნებელი გახლდათ, რადგან ისინი იმთავითვე მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ, არწაგებაზე ფიქრი კი გუნებაში არც გაუვლიათ.

მაკლიშსაც, როგორც ჩანს, გუნება ბოლოწამს ეცვალა: კრისტიან დეილი შემქმნელ ნახევარმცველად გაამწესა, მარცხენა ფრთაზე კი შონ მელოუნი დააყენა და ასე შეადგინა თავისი 4-4-1-1. ამ სქემას, ჩვეულებრივ, საშინაო მატჩებში ვხედავთ ხოლმე, მაგრამ აქ მაკლიში, როგორც ჩანს, მეტოქის თავკაცის, კლაუს ტოპმიოლერის გადაწყვეტილებებმა შეაცდინა — გერმანელი ყმაწვილებს ენდო: კარში 17 წლის გიორგი მაკარიძე ჩააყენა, წინ მისი ასაკის კიდევ ორი მოთამაშე, ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე ათამაშა და თერთმეტ კაცში ჰყავდა 20 წლის ჯაბა კანკავაც.

და სულ რამდენიმე წუთში ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ახალგაზრდებს ზურგს მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭი კი არა, ასაკისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმიც უმაგრებდა. ამ ბიჭების დაუოკებელმა სურვილმა, შეეტიათ ყველაფრისთვის, რაც წინ დახვდებოდათ, რასაც მათი სისწრაფე და ბურთის ჯადოსნური ფლობა ემატებოდა, მაკლიშის მოთამაშეებს დაანახა, რომ ისინი არა მხოლოდ ნიჭიერ მეტოქეს ეთამაშებოდნენ, არამედ, ამ შეხვედრაში პერსპექტივაც საკმაოდ მძიმე ელოდათ. მჭედლიძის გოლამდე სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს ნახევარმომენტის შექმნა, როდესაც მარცხენა ფრთიდან კენი მილერი შევარდა და ჯეიმს მაკფადენს დაბალი ბურთი მოუჭრა, რომელმაც მიზანს ცოტათი ააცილა.

საქართველო კი შოტლანდიის დაცვას დიდი ძალებით უტრიალებდა, რითაც გვარიან საფრთხეს ქმნიდა, მაგრამ მასპინძლებმა ანგარიში მაინც სტანდარტული მდგომარეობით გახსნეს — ზურაბ მენთეშაშვილმა კუთხური ჩაჰკიდა, ლევან მჭედლიძე კი ბურთს ჩინებულად დახვდა და ექვსი იარდიდან კრეიგ გორდონის კარში შეაგდო.

და კიდევ ერთი, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, როდესაც უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, აშკარა იყო ისიც, რომ სქოთებს მთელი თავიანთი ენერგია გლაზგოში, უკრაინის გამორჩეულად ძლევისთვის შეელიათ და იქ დაეტოვებინათ.

და მაინც, თუმც იშვიათად, მაგრამ, როდესაც ისინი მაკარიძის კარამდე მიდიოდნენ, გარკვეულ ხიფათს ქმნიდნენ. მაგალითად, ასე იყო, როდესაც მაკფადენმა საჯარიმო მოედნის მარცხენა ფრთაზე ზურაბ ხიზანიშვილს ჩაუქროლა, ყოფილმა რეინჯერსელმა მას აშკარად მხარი ჩაუდგა. ამ ეპიზოდისთვის პენალტი მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ ხიზანიშვილმაც წესი აშკარად დაარღვია და, ვფიქრობ, თავისუფალი დარტყმა უნდა დანიშნულიყო. გერმანელმა მსაჯმა კნუტ კირხერმა კი ანიშნა, თამაში განაგრძეთო.

ცოტა ხნის შემდეგ მაკფადენს ერთხელაც შეეძლო, მატჩის გმირი გამხდარიყო, როდესაც ბურთი ხარიხას სულ ოდნავ გადააცილა და მასპინძლებს ნამდვილი შიში აჭამა, მისგან განსხვავებით კი, დარენ ფლეტჩერს ეტყობოდა, რომ ხუთკვირიანი უთამაშებლობის გამო ჟანგიანი იყო. ამის გამო სტივენ პირსონსა და ბარი ფერგიუსონს სიღრმეში უწევდათ ჩასვლა, სიღრმეში კი ფორვარდებისთვის სახეირო ნაკლებად გამოჩნდება ხოლმე.

ამგვარად, სქოთებს ბურთის მოპოვება და შეტევაში გადატანა უჭირდათ, ასეთ ვითარებაში კი მაკლიშმა დაცვის გაძლიერების ნაცვლად თავდასხმის გაძლიერებაზე იზრუნა: პირსონისა და მილერის ნაცვლად მოედანზე კრეიგ ბიტი და კრის ბოიდი შეიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზუსტად ამ ცვლილებების წინ მასპინძლებმა მეორე გოლის გატანა მოახერხეს. იმ 20 წუთის განმავლობაში, რაც მეორე ტაიმის დაწყებიდან სირაძის გოლამდე გავიდა, თამაშის სურათი არ შეცვლილა, აი, სირაძის გოლმა კი სტუმრებს დიდი დარტყმა მიაყენა.

მართლაც, ერთი წუთით ადრე დავით კვირკველიას 25 იარდიდან, საჯარიმო დარტყმით შეეძლო გოლის შეგდება. ბურთი უკვე შედიოდა კიდეც კარის სხვენში, როდესაც ზორბა მეკარე გადახტა და ის კუთხურზე გადააგდო.

სქოთების პირველი ადექვატური პასუხიც საჯარიმო გახლდათ, რომელმაც მაკარიძე ბოლოს და ბოლოს აიძულა, გადამხტარიყო. მაკფადენის დარტყმული ბურთი მეკარემ თავისგან მარცხნივ დაიჭირა.

ერთი ხნის წინ 25 იარდიდან მელოუნმაც სცადა საჯარიმოთი გოლის გატანა, მაგრამ მაკარიძისგან მარჯვნივ ააცილა.

და ბოლოს, ჩვენს პრეს-ლოჟასთან მოსულმა რამდენიმე ქართველმა ქომაგმა გვკითხა, რა მოუვიდა გუნდს, რომელმაც საფრანგეთს და უკრაინას მოუგოო. ეს კითხვა არ გაგვკვირვებია. მათ შთაბეჭდილება დარჩათ, რომ შოტლანდიის იმ ნაკრების იაფფასიან იმიტაციას უყურებდნენ.

*გლენ გიბონსი*
*„სქოთსმენი"*

# მაკლიში მაინც დადებითს ეძებს

**საქართველოში** 0:2 წაგების მიუხედავად, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა თავისი ფეხბურთელები შეაქო — სქოთებს ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსი ჯერ არ დაუკარგავთ, ყველაფერი იტალიასთან ბოლო შეხვედრაში გადაწყდება.

„რასაც მივაღწიეთ, ჩვენით მივაღწიეთ. არა მგონია, ვინმეს ლოცვები დაგვხმარებოდა, ასე რომ, შოტლანდიაში ჩვენი შედეგით ყველა უნდა ამაყობდეს — თქვა მაკლიშმა — საოცარია, გადამწყვეტი შეხვედრა იტალიელებთან გქონდეს და გამარჯვება გჭირდებოდეს. რაც შეეხება საქართველოში მარცხს, წინა მატჩებთან შედარებით, შესაძლოა, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნამ დაგვწია უკან".

თბილისში თამაში შოტლანდიელებმა B ჯგუფის ლიდერის პოზიციიდან დაიწყეს. საქართველოს ძლევა იმას ნიშნავდა, რომ ბოლო თამაშში, ავსტრია-შვეიცარიაში მოსახვედრად, იტალიასთან ფრეც ეყოფოდათ, მაგრამ ისინი დამარცხდნენ გუნდთან, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში სამი თინეიჯერი ჰყავდა. ქართველებსაც აკლდათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი (თან, სქოთებთან გამარჯვება მათთვის მხოლოდ მესამე იყო შესარჩევში), მაგრამ მაკლიში დარწმუნებულია, რომ მისი დანაკლისი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მეტოქის.

„მეეჭვება, რომ ქართველების მწვრთნელმა რაიმე ექსპერიმენტი ჩაატარა. ვფიქრობ, მას, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა...

...ქართველებს რამდენიმე კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავთ. ისინი დრიბლინგის ოსტატობას ფლობენ, მეტოქის მცველებზე ჯიქურ მიდიან და ადგილობრივი გულშემატკივარი ალტაცებაში მოჰყავთ. საერთოდაც, საქართველოში იოლი თამაში არავის აქვს, ქართველებს ბევრი გუნდისთვის შეუქმნიათ პრობლემები, ისეთებისთვისაც, ჩვენზე მაღალი კლასისანი რომ არიან. საქართველოს შესახებ გულწრფელად უნდა განვაცხადოთ, რომ მათ კარგად ითამაშეს, ჩვენ კი პირველი ტაიმის ბოლოს გამოვასწორეთ საქმე და ალბათ პენალტიც გვეკუთვნოდა. ეს პენალტი თამაშის სურათს შეცვლიდა...

...მინდა გითხრათ, რომ დიდი ცვლილებები არ ჩაგვიტარებია, მაგრამ რაც ჩავატარეთ, როგორც ჩანს, ჩვენი გუნდისთვის მეტისმეტი იყო. თბილისში ჩვენ ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშე გვაკლდა და ამით სულაც არ ვაკნინებ მათ, ვინც ხსენებული ოთხეულის ნაცვლად ითამაშა. თამაშის შემდეგ ბიჭები გასახდელში განადგურებულები შევიდნენ".

იმავე დღეს საფრანგეთმა ლიტვა დაამარცხა და, შესაბამისად, სქოთები ცხრილში მეორე ადგილზე ჩავიდნენ.

კენი მილერი ამტკიცებს, რომ შოტლანდიის ნაკრები თბილისში ქულას იმსახურებდა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გუნდს ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსი კიდევ აქვს...

„ყოველმხრივ გულის დასაწყვეტი მატჩი იყო. შეხვედრა ისე დამთავრდა, ჩვენი ფეხბურთის თამაში ვერც დავიწყეთ, არადა, წინა მატჩებში ჩვენი მთავარი კოზირი კოლექტიური გაუტეხელობა გახლდათ. ჩვენს წინააღმდეგ თამაში მეტად ძნელი იყო...

...კარგად ვიცოდით, რომ იოლი გასეირნება არ გველოდა. ამისათვის მზად გახლდით. ჩვენ გვინდოდა, თბილისში ჩამოვსულიყავით და მოგვეგო. ამისთვის სრულიად შესაფერისი გუნდიც გვყავდა, მაგრამ წავაგეთ. არადა, აქამდე რა კარგად მიდიოდა ყველაფერი. უკრაინასთან გამარჯვება დღემდე გულს ახარებს. იმედი მაქვს, რომ ცუდ შედეგს გადავიტანთ და იტალიისთვის ჯეროვნად მოვემზადებით. აქამდე შინ ხუთი შეხვედრა მოვიგეთ და არ მესმის „ჰემპდენ პარკზე" იტალიასთან რატომ ვერ უნდა გავიმარჯვოთ".

*BBC თბილისიდან*



geo_geo_fan@hotmail.com

# მო-ვი-გეთ!

**MEZVRO**: სალამი „სარბიელს"! მოკლედ, ძლივს გახარებული მოვიწერები წერილს, რუბრიკა თუ გაიხსნება...

გილოცავთ ყველას ამ გამარჯვებას!!! ნაკრები ისევ მოფერიანდა. გლაზგოში მატჩის ჩათვლით ნაკრები გემრიელ, კარგ ფეხბურთს თამაშობდა ტოპის ხელში. მსიამოვნებდა ჩვენების თამაშის ყურება. უილბლობა, თორემ უკრაინა-შოტლანდიიდან ქულები უნდა წამოგველო, არც აქაური ურუგვაი-თურქეთის დამარცხება იყო პატარა საქმე. მერე კი რაღაც აირია, მიჯრით უფერული თამაშები, უკრაინასთან აქაურმა ფრემაც კი ვერ დამტოვა კმაყოფილი...

ჰოდა, როგორც იქნა, გუნდი ისევ ფეხბურთს თამაშობს და კარგ გააზრებულ სანახაობასთან ერთად გამარჯვებაც გვაჩუქა. ასკა შეუდარებელი იყო, დაცვაში საიმედოდ იდგა. წინ კი ორი ახალგაზრდა იყო გუნდის სული და გული. განუგრავას ცუდ გამოცდილებას ნუ გაიზიარებენ, კაციშვილმა რომ არ იცის, ეს ნიჭიერი ბიჭი ახლა რას აკეთებს და სად ირჯება, თუ ირჯება საერთოდ.

ყველაფერი კარგი, მაგრამ უკეთესი იქნება, როცა გამარჯვებას პრაქტიკული დატვირთვაც ექნება და სქოთებიეც ჯგუფიდან გასვლისთვის გვექნება ომი, ახლა კი მთელი იტალია, მგონი, ჩვენ გვინთებს სანთლებს.

მორიგი წარმატების მოლოდინით გემშვიდობებით.

geo_geo_fan@hotmail.com

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



# ანრიმ ბეგმას გადააჭარბა

**უკრაინა 5:0 ფარერები**

**1:0 კალინიჩენკო (40), 2:0, 3:0 გუსევი (43, 45), 4:0, 5:0 კალინიჩენკო (49, 64)**
**უკრაინა: პიატოვი, ჩიგრინსკი, რუსოლი, გაი, ნესმაჩნი, გუსევი (ვოროზი 62), ნაზარენკო, ტიმოშჩუკი (გრიცაი 69), კალინიჩენკო, ვორონინი, გლადკი (მილევსკი 46)**
**მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი**
**ფარერები: მიკელსენი, დანიელსენი, ე. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ი. იაკობსენი, დავიდსენი, თომასენი, ჰოლსტი (ფლოტუმი 75), კ. იაკობსენი (მ. სამუელსენი 89), რ. იაკობსენი, ს. სამუელსენი**
**მწვრთნელი: მარტინ ოლსენი**
**მსაჯი: ჰაიმ იაკოვი (ისრაელი)**
**3 000 მაყურებელი**

**არ** გაგიკვირდებათ და, უკრაინელები თავიდანვე დიდ უპირატესობას დაეუფლნენ, თუმც პირველი გოლი მხოლოდ მე-40 წუთზე გაიტანეს. მაქსიმ კალინიჩენკო მარცხენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში, ცრუ მოძრაობით ორი მცველი ჩამოიცილა და ახლო კუთხეში დაურტყა მეკარე იაკუპ მიკელსენს, რომელმაც ხელი კი წაატანა ბურთს, თუმცა თავისი გუნდი ვერ გადაარჩინა.

ტაიმის ბოლო ორ წუთში მიკელსენი ოლეგ გუსევმა კიდევ ორჯერ დაამწუხრა.

ფარერებსაც შეეძლო გატანა — იაკობსენმა უკრაინელთა საჯარიმოში ადვილად მიიღო ბურთი და მახვილი კუთხიდან დაარტყა, მეკარე ბურთს ძლივს მისწვდა...

ვერ გაიტანეს და დაისაჯნენ კიდეც: კალინიჩენკომ საჰაერო ბრძოლა მოუგო დავიდსენს და 4:0.

64-ე წუთზე კალინიჩენკომ ჰეთ თრიქი შეასრულა და ამის შემდეგ მიკელსენს ბურთი ბადიდან აღარ გამოუტანია.

**ნუკრი ლოლაძე**

**საფრანგეთი 2:0 ლიტვა**

**1:0, 2:0 ანრი (80, 82)**
**საფრანგეთი: ლანდრო, ლ. დიარა (ბენ არფა 69), ტურამი, გალასი, აბიდალი, რიბერი, მაკელელე, ტულალანი, მალუდა, ანრი, ბენზემა**
**მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი**
**ლიტვა: კარჩემარსკასი, დედურა, კლიმავიჩუსი, შკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, კალონასი (სავენასი 63), კსანავიჩუსი (ლაბუკასი 77), კუცისი (ველიჩკა 84), მორინასი, დანილევიჩუსი, იანკაუსკასი**
**მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი**
**გაფრთხილება: კსანავიჩუსი, კუცისი, დედურა**
**მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)**
**36 350 მაყურებელი**

ტიერი ანრი — გენიალური ფორვარდი, რომელსაც, პარადოქსია და, არასდროს მოუგია „ოქროს ბურთი", წლები გადის, ანრი კი ფორმიდან არ ვარდება. ისევ ისე სწყურია გოლები და თავისი საყვარელი საქმე ორჯერ გააკეთა ლიტვასთან. „ბარსელონას" სუპერვარსკვლავმა დუბლი შეასრულა და საფრანგეთის ნაკრებში 43 გოლს მოუკრა პირი, ამ მატჩამდე კი ანრის და პლატინის 41-41 ჰქონდათ გატანილი.

რეკორდსმენმა მატჩის ბოლოს, ორწუთიან მონაკვეთში ააწიოკა ლიტველები: ჯერ შეცვლაზე შესული ჰატემ ბენ არფას მარცხნიდან ჩაწოდებულზე იხეირა, მერე კი ჟერემი ტულალანის პასით გაუტანა ჟილდრუნას კარჩემარსკასს.

„მამლები" პირველივე წუთებიდან ეკვეთნენ ბალტიისპირელებს, ფრანკ რიბერის დარტყმული კარჩემარსკასმა ხარიხის დახმარებით გადააგდო კუთხურზე, ქარიმ ბენზემას მილიმეტრები დააკლდა გოლამდე, ტაიმის შუაში კი ფლორენ მალუდამ მეორედ აახმაურა სტუმართა კარის ძელი.

ერთი მომენტი ლიტვასაც ჰქონდა, როცა აუდრიუს კშანავიჩიუსმა ერიკ აბიდალი და ტულალანი მოატყუა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა, თუმც ეს რა მოსატანია ფრანგების აურაცხელ შანსებთან...

მალუდა, რიბერი, ბენზემა და გალასი კარჩემარსკასს შტურმავდნენ, გოლი კი მე-80 წუთამდე არ ჩანდა, მაგრამ ანრიმ გაწყვიტა ჯაჭვი...

რაიმონ დომენეკის გუნდი ცხრილის თავში მოექცა და ერთი მატჩილა დარჩა: უკრაინას სტუმრობს და თუ მოიგებს, ევროპის ჩემპიონატზეა.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:3 | 25 |
| შოტლანდია | 11 | 8 | 0 | 3 | 20:10 | 24 |
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:7 | 23 |
| უკრაინა | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 16 |
| ლიტვა | 10 | 3 | 1 | 6 | 7:13 | 10 |
| საქართველო | 11 | 3 | 1 | 7 | 16:17 | 10 |
| ფარერები | 11 | 0 | 0 | 11 | 3:40 | 0 |

**XI ტური, 17 ნოემბერი**
**ლიტვა — უკრაინა**
**შოტლანდია — იტალია**

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

19-წლამდელები. საქართველო. 18-23 ოქტომბერი

## უნგრელთა გადარჩენილი ნარინჯი

თბილისი. 18 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 2 000 მაყურებელი

### საქართველო 1:2 ჰოლანდია

1:0 თარგამაძე (17), 1:1 დე იონგი (83), 1:2 მატიჩი (87)

**საქართველო:** რ. კვასხვაძე, ვაჩიბერიძე, გაბუნია, სანაია, დაუშვილი (შეყილაძე 59), ბენაშვილი, ჩარგეიშვილი, ივანიშვილი, ბეგლარიშვილი (ყენია 81), თარხნიშვილი (მაისურაძე 27), თარგამაძე.
*სათადარიგონი:* მაკარიძე; ხუმარაშვილი, ბლაგიძე
**მწვრთნელი:** ჰაინც ტოპმიოლერი

**ჰოლანდია:** მულდერი, პორსტენი, ლიმა, მატიჩი, ტერ პორსტი, ბლინდი (ვიინალდუმი 63), დე იონგი, მაგუირი, პაგარი (ზეკუიჩი 63), რომერინკი, ვანდერბერგი (პეცკოფი 79)
*სათადარიგონი:* კოეტერი; დროსტი, ვან დიურმენი, ფერი
**მწვრთნელი:** ვიმ ვან ცვამი

**გაფრთხილება:** ბენაშვილი (48), კვასხვაძე (55), დაუშვილი (55), თარგამაძე (62), გაბუნია (90)

**გაძევება:** მაისურაძე (62)

**მსაჯები:** ი. ვადი, ვ. ტოტი (ორივე უნგრეთი), მ. კიროვსკი, ა. სტარევი (ორივე მაკედონია)



ილია ნანობაშვილი

**ევროპელ** მსაჯებს ქართველი ჭაბუკების თვალების ფერი არ მოსწონთ თუ რა ხდება, არ ვიცით, მაგრამ ძალიან რომ შემოგვეტიეს და უკვე აუტანელი ხდება მათი მეთორმეტეკაცობა, ფაქტია. შარშან იყო და, 17-წლამდელთა ნაკრებს თბილისში რუსებთან და გერმანელებთან წააგებინეს, ახლა კი 19-წლამდელების ჯერიც მოვიდა. თამამად ვიტყვით, უნგრელმა არბიტრმა იშტვან ვადმა ტყუილუბრალოდ გააძევა ნიკოლოზ მაისურაძე და ქართველები თითქმის ნახევარი საათი კაცნაკლული აჯახირა...

გიორგი მაკარიძემ, ლევან ყენიამ და ლევან მჭედლიძემ წინა დღეს შოტლანდიასთან ეროვნულ ნაკრებში ითამაშეს. ცუდ დროს დაემთხვა, თორემ ესენი რომ ყოფილიყვნენ ჰოლანდიელ თანატოლებთან, ასე გვგონია, დღეს ნორვეგიელებთან ერთად ჯგუფის ლიდერები ვიქნებოდით.

ჰაინც ტოპმიოლერმა მხოლოდ ბოლო 10 წუთი მისცა ყენიას, ეტყობა, ბურთის დაჭერის მიზნით, მაგრამ ამ დროს ქართველი ჭაბუკები ძლივსლა დადიოდნენ მინდორზე, ჰოლანდიელები კი შეცვლებს აძლიერებდნენ და ლამის თერთმეტი ერთზე თამაშობდნენ: დიახ, რაც გუშინ „ზესტაფონის" მეკარე როინ კვასხვაძემ გააკეთა, გმირობაზე მეტი იყო. არც გვახსოვს, როდესმე ქართველ გოლკიპერი ასე ლომივით მდგარიყო...

ქართველ 19-წლამდელებს ერთი გამოკვეთილი ფორვარდი ჰყავდათ, გიორგი ივანიშვილის სახით, მაგრამ ეს ერთიც სიქას აცლიდა პატარა „ნარინჯისფერებს" — შვეიცარიული „ციურიხის" ახალგაზრდული გუნდის ფორვარდი ძალიან ახლოსაა ბურთთან, სწრაფიცაა და მის დაჭერას მხოლოდ სარმებით ახერხებდნენ. ივანიშვილი განსაკუთრებით პირველ ტაიმში ჩაუქობდა, მერე კი დაღლა დაეტყო, თან ნახევარდაცვაში დაიხია და ეფექტი მოაკლდა.

...პირველი წუთები ჰოლანდიელებისა იყო, თუმც ჩვენებმა მალე გამოასწორეს თამაში და გოლიც მალე გავიდა: ივანიშვილმა მარჯვენიდანააწრიალა მცველები, ბურთი „ფრაიბურგის" დავით თარგამაძეს გაუგორა და მანაც შორეულ კუთხეში გაუტანა ერვინ მულდერს — 1:0.

სტუმრები დაიბნენ და კარგახანს ისევ გაგრძელდა ქართველთა შეტევები. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გადავრჩით, როცა ბარი მაგუირმა ათიოდ მეტრიდან კარს გადააცილა.

მეორე ნახევარიც საჩვენო თამაშით დაიწყო, მინდვრის ცენტრში უფროსი ტოპმიოლერის ბიჭები უკეთ ირჯებოდნენ, ჰოლანდიელები კი გრძელი პასებით ცდილობდნენ თავისას.

55-ე წუთზე მსაჯმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა, კვასხვაძემ დიდხანს გააჩერა ბურთი ხელშიო — კიდევ გადავრჩით, როინმა პენალტის ტოლფასი მკვდარი ბურთი აუღო მარკო მატიჩს.

62-ე წუთზე კი უნგრელმა მსაჯმა თავისი გააკეთა, მაისურაძე გააძევა და დაიწყო ცოდვის ტრიალი...

კვასხვაძე მარტოლა ეთამაშებოდა ჰოლანდიელებს, რომლებმაც შეცვლაზე შესული ორი შავკანიანის, ჯენერო ზეკუფისა და ჯეორჯინიო ვიინალდუმის წყალობით შტურმი მოაწყვეს. ათი წუთის ინტერვალში 5 (!) ურთულესი ბურთი მოიგერია კვასხვაძემ, მაგრამ ბოლოს ისიც უძლური გახდა: ჯერ 83-ე წუთზე სიემ დე იონგმა თავით იხეირა კუთხურის შემდეგ, 87-ეზე კი მარკო მატიჩმა ახლო მანძილიდან დაარტყა, კვასხვაძემ ნახტომი გაჭიმა და თითქმის გადაარჩინა კიდეც კარი, მაგრამ ხაზი უკვე გადაკვეთილი იყო...

#### პრესკონფერენცია

**ვიმ ვან ცვამი:** კარგი თამაში გამოვიდა, რომელსაც ხიბლი შესძინა ქართველების მეკარემ. მას ნამდვილად დიდი მომავალი აქვს. მეტოქე ლომივით იბრძოდა, მაგრამ ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. ცხადია, რიცხობრივმა უპირატესობამაც გაგვიადვილა საქმე. ძნელია იმის თქმა, გაუძევებლად რომ გვეთამაშა, როგორ დამთავრდებოდა მატჩი. რაც შეეხება გაძევების მომენტს, ვერაფერს გეტყვით, ის ეპიზოდი გამომეპარა.

**ჰაინც ტოპმიოლერი:** სანამ ათი კაცით დავრჩებოდით, მართლაც კარგი თამაში იყო: სწრაფი, ძალისმიერი და ტექნიკურიც. ვფიქრობ, ტექნიკით ვაჯობეთ მეტოქეს. მაისურაძის გაძევების შემდეგ უკან დავიხიეთ, ივანიშვილი ნახევარდაცვაში დავწიეთ და, ფაქტობრივად, უფორვარდოდ ვითამაშეთ...

...კომპლიმენტები მინდა ვუთხრა რამდენიმე ფეხბურთელს. იმავე სანაიას და, ცხადია, კვასხვაძეს, რომელმაც დიდებულად ითამაშა. დარწმუნებული ვარ, მალე საქართველოს მეკარის პრობლემა აღარ ექნება...

...ჯერ ვიდეოფირი უნდა ვნახოთ, რათა დავამტკიცოთ, მაგრამ, რაც იმ მომენტში ვნახე, მაისურაძეს ჰოლანდიელი ექაჩებოდა, ჩვენიანმაც მოინდომა უხეშობა, მაგრამ ფეხი არ ჩაურტყამს. საერთოდ, ასაკობრივ ნაკრებებს მსაჯები არცთუ სამართლიანად ექცევიან...

...მედიცინის თვალსაზრისით, ყოველდღე თამაში არ არის კარგი ფეხბურთელისთვის. ვნახოთ, როგორ იქნებიან ფიზიკურად ყენია და მჭედლიძე — თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მაშინ ნორვეგიასთან ვათამაშებთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

რუსთავი. 18 ოქტომბერი. 12 საათი. ფოლადი. 100 მაყურებელი

### ნორვეგია 2:0 ლატვია

1:0 ხალილი (18), 2:0 ფლო (34პ)

**ნორვეგია:** სტუბჰაუგი, ჰოილანდი, ფლო, ური, ბოლდტი, ელვესტადი, კარლსენი, ბენდიქსენი (ლარსენი 72), აასი, ჰოილანდი (ანდერსენი 84), ხალილი (კამარა 59)
*სათადარიგონი:* ჰანსენი, რამსტადი, ჰენრიკსენი, ვალიო
**მწვრთნელი:** ტორ ოლე სკულერუდი

**ლატვია:** პარტონისი, კურაკინსი, მეში, სეველოვსი, შმილსი, ოსიპოვსი, გრამოვიჩი, კორსაკოვსი (დუბრა 46), ვალეცეანისი, პრიედენსი (კალნინსი 63), სინელნიკოვსი (აგაფონოვსი 87)
*სათადარიგონი:* კრისტაპსი, გავრილოვსი, პოლევოისი, რაკლინსკისი
**მწვრთნელი:** ანდრეის კარპოვსი

**გაფრთხილება:** ბენდიქსენი (10), კურაკინსი (24), შმილსი (65)

**მსაჯები:** მ. მიკოლაევსკი, კ. მურმესი (ორივე პოლონეთი), გ. ყრუაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (ორივე საქართველო)



გერმანული თავები რუსთავში: რალფ მინგე, პეტარ სეგრტი, კლაუს ტოპმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი

## ნორვეგიამ წინ გაიხედა

ნუკრი ლოლაძე რუსთავიდან

**მთელი** შეხვედრა ნორვეგიელთა უპირატესობით წარიმართა — ლატვიელმა ახალგაზრდებმა, რბილად რომ ვთქვათ, უგერგილოდ ითამაშეს.

პირველ ხუთ წუთში გუნდებს თითო საგოლე შანსი მიეცათ. ნორვეგიელმა ტომას ბენდიკსენმა მარცხენა ფრთაზე იაქტიურა და კუთხური მოინადირა, შემდეგ კი ლატვიელები გოლს გადარჩნენ — ალან ხალილის დარტყმული ძელმა მოიგერია.

ცოტა ხანში ვიკინგთა კაპიტანმა პერ ეგილ ფლომ ბურთი ცუდად დაუბრუნა მეკარე ლარს სტუბჰაუგს, რომელმაც თავდამსხმელს დაასწრო და დროებით განმუხტა სიტუაცია, თუმც ბურთი არტიომ ოსიპოვსმა მოიხელთა და კარში დაარტყა — სტუბჰაუგმა ნახტომში მოიგერია.

ბურთს ნორვეგიელები აკონტროლებდნენ და მათი უპირატესობა თვალშისაცემი იყო — მე-17 წუთზე კი პირველი გოლიც გაიტანეს. მარჯვენა ფრთიდან ტომი ჰოილანდმა აუტიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ლატვიელებმა ხეირიანად ვერ მოიგერიეს და ხალილს საშუალება მისცეს, კარში დაერტყა — 1:0.

თამაში იმავე სცენარით გაგრძელდა. მარჯვენა ნახევარმცველი ჰოილანდი აუტიდან ისე აწვდიდა ბურთს, როგორც კუთხურს და ყველა ასეთი ჩაწოდება ცუდ მდგომარეობაში აყენებდა ლატვიელებს.

34-ე წუთზე ჰოილანდი მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეიჭრა და ანტონს კურაკინსმა მოცელა. პენალტი ფლომ ზუსტად დაარტყა — 2:0.

ლატვიელებს შეტევაში ერთი თავდამსხმელი ჰყავდათ, კრისტოფს პრიედენსი და მისი საცოდაობით დაიწვებოდით — მასთან, ფაქტობრივად, ბურთი არც მისულა. ნორვეგიელები კი, აშკარად ჩანდა, რომ უკვე მომავალ მატჩებზე ფიქრობდნენ.

მე-40 წუთზე მარტინ ელვისტადის გადაცემის შემდეგ სონდრე აასს შეეძლო გატანა, მაგრამ შანსი ქარს გაატანა.

მეორე ტაიმში სულ სამი ეპიზოდი იყო ასე თუ ისე აღსანიშნი. ალექსანდრ გრამოვიჩის დარტყმული ოდნავ აცდა ნორვეგიელთა კარს; პირისპირ გასულმა აასმა მეკარეს ვეღარ ააცილა ბურთი; ბოლოს კი ნაკუთხურალს პეტერ ლარსენმა თავური მიაყოლა და გრამოვიჩმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.



პერ ეგილ ფლოს ზუსტი პენალტი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა. I წრე. 9 ტური





ბოლნისი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — დილა**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ხუციშვილი, ო. მოლოდინაშვილი; ა. ნონიკაშვილი

ბორჯომი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ლოკომოტივი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე; ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი

თბილისი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული

**დინამო — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი; ზ. მენთეშაშვილი; ო. ხეცაძე

ბათუმი. 19 ოქტომბერი. 15 საათი. ადილი

**ბათუმი — ამერი**

მსაჯები: მ. ურუშაძე; ზ. ერქვანია, ზ. ფიფია; ხ. გაგნიძე

გორი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**სპარტაკი — მესხეთი**

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ჯვარიძე; ა. კოკაია; ვ. გუმბერიძე

თბილისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. მერანი

**მერანი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე; ლ. თოდრია; ი. ურუშაძე

რუსთავი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — მგლები**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე; ი. უკლება; ვ. ელისაბედაშვილი

# ეროვნულიდან ეროვნულამდე ეროვნულზე
## დინამო ისევ ცენტრშია

**სანაკრებო** ამბების შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატზე გადავერთოთ და კიდევ ერთი თვე, ვიდრე ნაკრები ევროშესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩისთვის მზადებას დაიწყებს, ჩვენს ასევე ერთ-ერთ უმთავრეს საქმეს მივხედოთ.

ჩემპიონატის მეცხრე ტური სადღეისო ოთხი თამაშით იწყება და საკვირაო ორი მატჩით მთავრდება. შუაში კი, შაბათს, ერთი შეხვედრაა — ცხინვალის „სპარტაკი" ახალციხის „მესხეთს" გორში დაუხვდება.

ისევე, როგორც წინა ტურში, განსაკუთრებულ ყურადღებას ჩემპიონატის უდანაკარგო ლიდერ თბილისის „დინამოს" მატჩი იმსახურებს — დუშან უჰრინის სამწყსო დღეს „ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობს.

ორი კვირის წინ ტურის ცენტრალური მატჩი „ამერი" — „დინამო" იყო. ახლა კი მთავარი ამბავი ისევ „დინამოს" მონაწილეობით, ოღონდ „ეროვნულზე" და „ვიტ ჯორჯიასთან" იქნება. ამ მეტოქეების ურთიერთშეხვედრისგან, როგორც ყოველთვის, ახლაც საინტერესო და უშეღავათო ბრძოლას ველით. „ვიტ ჯორჯია" ხომ ერთ-ერთი ის გუნდია, რომელთანაც „დინამოს" ყოველთვის უჭირს და არაერთხელ გვინახავს, რომ ამათ შეხვედრაში მოგებული ვიტელები დარჩენილან. რატომღაც სულ ისე ხდება, რომ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს „ვიტ ჯორჯია" სწორედ „დინამოსთან" ატარებს ხოლმე და სხვანაირად არც ამჯერად უნდა გამოვიდეს.

წლეულს „დინამო" და „ვიტ ჯორჯია" „ეროვნულზე" ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. სათასო მატჩი იყო და უჰრინმაც და მისმა კოლეგა ნესტორ მუმლაძემაც უძლიერესი ფეხბურთელები სხვადასხვა მიზეზებით ვერ ათამაშეს. შესუსტებული შემადგენლობების მიუხედავად კი მაინც კარგი, თვალსასეირო შეხვედრა ვნახეთ. „დინამო" ორბურთიანი უპირატესობით იყო დაწინაურებული, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. საბოლოოდ „დინამომ" დავით ოდიკაძის გატანილი პენალტით მაინც მოიგო, თუმცა სტუმრებს იმ გოლის გაქვითვაც ბევრჯერ შეეძლოთ.

დღეს კი უჰრინი და მუმლაძე ერთმანეთს უძლიერეს შეგირდებს დაუპირისპირებენ. ამ სანაკრებო პერიოდში რამდენიმე ფეხბურთელი ორივე გუნდიდან იყო გამოძახებული სხვადასხვა ნაკრებებში, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მათ ფიზიკურ კონდიციებზე დიდად უარყოფითად არ აისახება და თავიანთ საქმეს კარგად გააკეთებენ.

„ეროვნულზე" მატჩი 15 საათზე დაიწყება და ვინც იქ მივა, არ ინანებს.

შეგახსენებთ: „დინამო" ჩემპიონატს ქულადაუკარგავად ლიდერობს, ხოლო „ვიტ ჯორჯია" მესამე ადგილზეა.

„ვიტ ჯორჯიამ" თუ შეძლო და, მასპინძლებს ქულები დააკარგვინა, ამით „ზესტაფონსაც" წაეშველება, რომელიც „დინამოს" ორი ქულით ჩამორჩება, ამ ტურში კი იმ „მერანთან" სტუმრობს, სადაც ბოლომდე ჯერაც მოუგვარებელია მწვრთნელის საკითხი. „ზესტაფონს" „მერანთან", თუნდაც სტუმრად, მოგება ალბათ არ გაუჭირდება.

თბილისის „ამერი" დღესვე ბათუმში ითამაშებს. წინა სეზონი რომ იყოს, დარწმუნებით ვიტყოდით, „ყვითლებს" ზღვის პირას მოგება არ გაუჭირდებათო. მაგრამ ახლა... მართლია, „ბათუმს", მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი ცუდი პერიოდი უდგას, მაგრამ მაინც მასპინძელი იქნება და ბურთი როგორ დატრიალდება, ძნელი სათქმელია.

„ამერი" ბოლო დროს ისე ველარ თამაშობს, როგორც ამ გუნდმა ყველანი მიგვაჩვია და ამიტომაც ბათუმში რა და როგორ გამოვა, თამაში აჩვენებს.

დღეს „ბორჯომი", რომელიც წლეულს ერთობ მოღონიერდა და „ამერს" და „ვიტ ჯორჯიას" ზედიზედ მოუგო, თბილისის „ლოკომოტივს" მიიღებს და ყველა ლოგიკით, ვფიქრობთ, მორიგ სამ ქულას შეიმატებს. მართალია, „ლოკომოტივი" ცოტა მოფერიანებული ჩანს, მაგრამ ბორჯომში გიორგი კიკნაძის გუნდს სამი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი დააკლდება.

ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდები ცხრილში მეხუთენი არიან და ლიდერებში დასაბრუნებლად მიცემული ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვან.

„სიონს" ბოლნისში, გორის „დილასთან" შეხვედრაში ვერ დაეხმარება დისკვალიფიცირებული კამერუნელი მცველი ბოიომო ფრიდოლინი, მაგრამ მის გარეშეც მასპინძელთა მოგებას ვვარაუდობთ. ბოლნისელთა გენერალურ მენეჯერ ჯემალ ჭიპაშვილის ამასწინანდელი განცხადებით, „სიონის" ლეგიონერების მისამართით რასისტული გამონათქვამები გახშირდა, თუმცა ამჯერად ასე არ იქნება.

ისე, სიტყვა მოიტანა და, „სიონს" „დილასთან" მატჩში ვერც მეორე კამერუნელი, გასტონ ევოჩე დაეხმარება — ის ტრავმირებულია.

დაძაბულ და საინტერესო თამაშს ველით გორში, სადაც „სპარტაკი" „მესხეთს" მასპინძლობს. „სპარტაკი", შემადგენლობიდან გათვალისწინებით, ალბათ ისევ დაცვიდან ითამაშებს და კონტრშეტევებით ეცდება მეტოქის დამარცხებას. კობა ჟორჟიკაშვილსა და მის შეგირდებს დაცვითი თამაში უკვე ნაცადი აქვთ და „მესხეთთანაც", ვფიქრობთ, ამ ხერხს აირჩევენ. მით უმეტეს, „მესხეთი" აქცენტს შეტევაზე აკეთებს ხოლმე და ხშირად საგოლედ კარგ სიტუაციებსაც იქმნის. „მესხეთს" აქამდე 10 გოლი აქვს გატანილი, მაგრამ ორი ამდენი ნაღდი მომენტები გაუცუდებია. „სპარტაკს" კი, უკვე კარგა ხანია, არ მოუგია და ნავსიანი სერია გორში თუ ვერ შეწყვიტა, საქმე კიდევ გაურთულდება.

დაბოლოს, რუსთავში ჩემპიონი „ოლიმპი" ზუგდიდურ „მგლებს" უმასპინძლებს. სტუმრებს ვლადიმერ ჯოჯუა დააკლდებათ, რუსთაველები კი სრული შემადგენლობით იქნებიან. ანატოლი პისკოვეცის შეგირდები, მერამდენედ გვიწევს თქმა, წლეულს არც თუ დამაჯერებლად გამოიყურებიან და მწვრთნელიც ხშირად, თითქმის ყოველი მატჩისას ცვლის ძირითად შემადგენლობას. პისკოვეცმა ოპტიმალურ ძირითადს ჯერაც ვერ მიაგნო და, შესაძლოა, ექსპერიმენტული შემადგენლობა ვნახოთ „მგლებთანაც". თავის მხრივ კი, „მგლები" წინ მიიწევს და კონკრენტების მსგავსად ზუგდიდელებიც ლიდერთა მარაქაში გარევას ცდილობენ.

მოკლედ, მეცხრე ტურშიც საინტერესო მატჩები გველის და ქომაგებმა სტადიონზე წასვლა არ უნდა დაიზარონ. თბილისში 2 მატჩია, ერთი პარასკევს, მეორე კვირას, რეგიონებში კი 5 თამაშია და, წესით და რიგით, ტრიბუნებზეც მეტი ქომაგი უნდა იყოს. ხალხი თუ იქნება, ფეხბურთიც კარგი გამოვა.

**კობა ინასარიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 8 | 0 | 0 | 24:2 | 24 |
| ზესტაფონი | 8 | 7 | 1 | 0 | 17:3 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 1 | 2 | 11:7 | 16 |
| მგლები | 8 | 5 | 0 | 3 | 9:6 | 15 |
| ბორჯომი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:5 | 14 |
| მესხეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 14 |
| ამერი | 8 | 4 | 0 | 4 | 14:10 | 12 |
| ოლიმპი | 8 | 3 | 2 | 3 | 6:7 | 11 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 0 | 5 | 6:12 | 9 |
| სპარტაკი | 8 | 2 | 2 | 4 | 3:8 | 8 |
| სიონი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| დილა | 8 | 1 | 1 | 6 | 6:13 | 4 |
| მერანი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:19 | 3 |
| ბათუმი | 8 | 0 | 1 | 7 | 2:15 | 1 |

# შოტლანდიელთა ექსკურსია საქართველოში

**მარცხით** გულდათუთქული 2500 შოტლანდიელი ქომაგიდან სამშობლოში მხოლოდ ნახევარი დაბრუნდა, დანარჩენებს კი ძალიან მოსწონებიათ ჩვენი ქვეყანა და კვირის ბოლომდე არ აპირებენ აქედან წასვლას — ზოგი რეგიონებში გაემგზავრა ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, ზოგიც თბილისის ქუჩებში მოძრაობს და დროს ატარებს.

ჩვენთვის საამო მატჩის დასრულების შემდეგ, ქართველი ქომაგები შოტლანდიელებს ტრიბუნების კიბეებზე შეეგებნენ და ტაშის გრიალით გააცილეს სტადიონიდან, შოტლანდიელებმა კი თავიანთი ხასიათი წარმოაჩინეს, მარცხს მამაცურად შეხვდნენ და ჩხუბი და აყალმაყალი არ აუტეხავთ. არადა, როგორია, ევროპის ჩემპიონატამდე ერთი ნაბიჯი რომ გიკლია და უმოტივაციო გუნდთან მარცხდები...

**ნუკრი ლოლაძე**

# ბაია ფინალშია

**ბარსელონაში** მიმდინარე კოსტაბრავას ტურნირში მონაწილე ზუგდიდის „ბაია" ფინალში გავიდა.

ქართველმა ბავშვებმა ნახევარფინალში, ყველასთვის მოულოდნელად, ბერლინური „ინტერნაციონალი" 2:1 დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენებმა ჯგუფში სწორედ ამ გუნდთან წააგეს 0:7 და მოულოდნელიც ამიტომ იყო ზუგდიდელთა გუშინდელი გამარჯვება.

„ბაია" ფინალში დანიურ გუნდს შეხვდება და, იმედია, თასითაც დაბრუნდება საქართველოში.

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1990 წელს დაბადებულები**

დასავლეთი ზონა

პირველი წრე. მე-7 ტური

მესხეთი 0:6 ბორჯომი

მგლები 3:1 დილა

მართვე 5:0 ბათუმი

სპარტაკი 0:2 ზესტაფონი

**1991 წელს დაბადებულები**

აღმოსავლეთი ზონა

პირველი წრე. მე-7 ტური

ავაზა 2:2 ოლიმპი 2

ერთობა 1:1 ოლიმპი

ვიტ ჯორჯია 0:6 ნ. დინამოელი

იმედი 0:5 35-ე სკოლა

**1992 წელს დაბადებულები**

აღმოსავლეთი ზონა

პირველი წრე. მე-7 ტური

ავაზა 2:0 ოლიმპი 2

ერთობა 1:9 ოლიმპი

ვიტ ჯორჯია 5:2 ნ. დინამო

იმედი 0:3 35-ე სკოლა

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

# დახუთულობა მარაკანაზე



„მარაკანაზე" შეკრებილ მრავალრიცხოვან ფანთა გულის გასახარად, დუნგას ბრაზილიამ ეკვადორს შავი დღე დააწია. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიური ფეხბურთის ამ მექაში ნაკრებს მატჩი 2000 წლის შემდეგ არ ჩაეტარებინა და „სელესაოც" მითიურ არენას გამარჯვებით დაუბრუნდა.

კაკამ, რონალდინიომ და რობინიომ გაიბრწყინეს „მარაკანაზე". ხალხმაც მათი ბურთაობითა და გოლებით ისიამოვნა და გულიდან შფოთი ამოიგდო — ბრაზილიამ ხომ პირველ ტურში კოლუმბიასთან ოდენ 0:0 შეძლო.

აღგილობრივთა შეტევები ვაგნერ ლავის, რონალდინიოს, კაკასა და ელანოს გოლებით დასრულდა. „მარაკანაზე" წაგება კი, შესაძლებელია, ეკვადორის კოლუმბიელ მწვრთნელ ლუის ფერნანდო სუარესს ადგილის დაკარგვად დაუჯდეს — მას ეკვადორში ნაკრების ბოლო 7 ოფიციალური მატჩის ვერმოგებას უკიჟინებენ.

პარაგვაი ურუგვაისთან მოგებით ცხრილში არგენტინას და ბრაზილიას მიუახლოვდა. გოლები „დორტმუნდის" ნელსონ ვალდესმა და მექსიკური „ამერიკას" სალვადორ კაბანიასმა გაიტანეს. ურუგვაელები კი ჯერჯერობით სამი ქულის ამარა არიან, წინა ტურში ბოლივიასთან 5:0 მოგების მერე აღარ გაუმართლათ.

ხსენებულმა ბოლივიამ კოლუმბიას ცაში გამოკიდებულ ლა პასის სტადიონზე, ზღვის დონიდან 3577 მეტრის სიმაღლეზე უმასპინძლა, გოლი ვერ გაიტანა, არც სტუმრებს გაატანინა და ასე იჯახირეს იმ უჰაერობაში. ჩილემ კი უმბერტო სუაზოს და მატიას ფერნანდესის გოლებით პერუს მოუგო, თუმც მარსელო ბიელსას ბიჭებს მეტოქის უსუსურობის გამო ალბათ უფრო დიდი ანგარიშით უნდა ეყოჩაღათ.

**ლადო ხომერიკი**

### II ტური

**ბრაზილია 5:0 ეკვადორი**

1:0 ვაგნერ ლავი (18), 2:0 რონალდინიო (71), 3:0 კაკა (76), 4:0 ელანო (82), 5:0 კაკა (84)
ბრაზილია: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ჟილბერტო, ჟილბერტო სილვა, მინეირო, კაკა (დიეგო 88), რონალდინიო, ვაგნერ ლავი (ელანო 76), რობინიო
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
ეკვადორი: ვიტერი, ურტადო, დე ლა კრუზი, ურუტია, ბაგი, კიროსი (კ. ტენორიო 46), ე. მენდესი, კ. ბენიტესი (ლარა 82), ს. კასტილიო, ვ. აიოვი (გერონი 76), ესპინოზა
მწვრთნელი: ლუის სუარესი
გაფრთხილება: ბაგი, ურტადო
მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
65 000 მაყურებელი

**პარაგვაი 1:0 ურუგვაი**

1:0 ვალდესი (15)
პარაგვაი: ვილარი, მორელი, კანისა, ხ. კასერესი, კაბანიასი (აჩუკარო 79), ე. ბარეტო (სანტანა 86), ვერა, და სილვა, ვ. კასერესი, რივეროსი, ნ. ვალდესი (ო. კარდოზო 66)
მწვრთნელი: ხერარდო მარტინო
ურუგვაი: კარინი, ლუგანო, გოდინი, სკოტი, ფუსილე, პაბლო გარსია, კ. როდრიგესი (ბუენო 79), სუარესი (ვ. სანჩესი 62), მ. პერეირა, ფორლანი, დ. პერესი (ა. გონსალესი 68)
მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი
გაფრთხილება: რივეროსი, პაბლო გარსია, პერესი, ვალდესი, კარდოზო
მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)
40 000 მაყურებელი

**ჩილე 2:0 პერუ**

1:0 სუაზო (11), 2:0 ფერნანდესი (51)
ჩილე: ბრავო, რიფო, ფიერო (ფუენტესი 89), ვიდალი, მ. ფერნანდესი, დროგეტი, იტურა, პონსე, მ. გონსალესი, სალასი (ლ. ხიმენესი 88), უ. სუაზო (რუბიო 84)
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
პერუ: ბუტრონი, ა. როდრიგესი, აკასიეტე, ვილკესი (ბასალარი 73), გალიკიო, ხ. ვარგასი, სოლანო, ხაიო, დე ლა აზა (კინტეროსი 46), კ. პიზარო, ფარფანი
მწვრთნელი: ხოსე დელ სოლარი
გაფრთხილება: ვილკესი, დროგეტი, ფერნანდესი, დე ლა აზა, ვარგასი, იტურა, სოლანო, გალიკიო
მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)
45 000 მაყურებელი

**ბოლივია 0:0 კოლუმბია**

ბოლივია: ვერდუგესი, ამადორი, ლ. რეიესი, ლ. რიბეირო, მოხიკა, ლ. გუტიერესი, გალარზა, ანდავერისი (კაბრერა 55), კამპოსი (ვაკა 46), რალდესი, არსე (რ. გუტიერესი 70)
მწვრთნელი: ერვინ სანჩესი
კოლუმბია: ხულიო, მორენო, მოსკერა, არისალა, ვალეხო, დ. ფერეირა (ა. რამირესი 55), ანჩიკო (ბანგუერო 85), ამაია, ვალენსია (კასტრილიონი 63), კ. სანჩესი, რენტერია
მწვრთნელი: ჟორჟე პინტუ
გაფრთხილება: მოსკერა, გალარზა, რეიესი, არისალა, ანჩიკო, რეიესი, ხულიო
გაძევება: რეიესი (68)
მსაჯი: მაურისიო რეინოსო (ეკვადორი)
50 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| ჩილე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვენესუელა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| კოლუმბია | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:5 | 1 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

# ეტოო ესპანელია



**სამუელ ეტოომ** ბარსელონაში ესპანეთის კონსტიტუციაზე დაიფიცა — ამიერიდან კატალონიური გრანდის ფორვარდი ევროკავშირელია.

„ეტოო ძალიან ამაყობს, რომ ესპანეთში ყოფნის 11 წლისა და ორი თვის შემდეგ ამ ქვეყნის პასპორტი მიიღო" — განუცხადა „მარკას" ფეხბურთელის წარმომადგენელმა.

აფრიკელმა კაცმა თანაგუნდელების, ბრაზილიელი რონალდინიოსა და მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსის მაგალითს მიჰბაძა. ეტოომდე წლეულს ორმაგი მოქალაქეობა ამ ბარსელონელებმაც მიიღეს.

ფრანკ რაიკარდის შეგირდი, ვინც აგვისტოში მიღებული ტრავმის გამო „ბარსას" მატჩებში ვერ მონაწილეობს, სარეგისტრაციო ცენტრში წარმომადგენელ ხოსეპ მარია მესალესთან ერთად მივიდა. ესპანური მედიის ცნობით, ეტოოს გაესპანელებამ ნაკლებად პომპეზურად ჩაიარა და იქაურობა ჟურნალისტთა თუ ინჩასთა ზღვას არ წაულეკავს, როგორც ეს აგვისტოში რონალდინიოს კონსტიტუციაზე დაფიცებისას მოხდა.

სამუელ ეტოო ფილსი ესპანეთის სატახტოში 1997 წელს ჩავიდა. კამერუნელი „ლეგანესში", მადრიდის „რეალსა" და „ესპანიოლში" თამაშობდა, მერე „მალიორკაში" მოხვდა. კუნძულელთა გუნდიდან კი ეტოო „ბარსელონაში" 2004 წლის ზაფხულში გადაიყვანეს.

**ლადო ხომერიკი**

# ზლატანს აწყენინეს

**შვედეთის** ნაკრებისა და მილანის „ინტერის" თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი განაწყენებულია, რომ ფიფას 30-კაციან სიაში ვერ მოხვდა.

„რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ, რადგან ყოველთვის ყველაფრის მოგება მინდა. ჩემთვის ნებისმიერი ჯილდო მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის წინ საბავშვო არხის „ნიკელოდეონის" პრიზი გადმომცეს და ესეც კი ძალიან გამიხარდა. თუმცა მთავარი, ცხადია, შვედეთთან და „ინტერთან" ერთად მოგებაა, ლანაჩრები, უბრალოდ, ბოლოს ფაქტია, ნომინანტებს ფიფა ასახელებს და ისლა დარჩენია, უკეთ ვითამაშო, რათა ამ სიაში შემდგომში მაინც მოვხვდე. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასახელებული 30 ფეხბურთელის გარდა კიდევ ბევრი ბრწყინვალე მოთამაშეა და საოცარია, ნომინანტებში რომ არ არიან, მაგალითად, ფრანჩესკო ტოტი და დავიდ ვილია" — განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა.

**კოკი კანდელაკი**

## სომხურ-აზერბაიჯანული შეცდომა

**უეფა** შეეცდება, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ერთ შესარჩევ ჯგუფში არასოდეს მოხვდნენ. ამის შესახებ მიშელ პლატინიმ ბაქოში განაცხადა: „ვიცი, რომ ეს შეცდომა იყო და მომავალში უნდა გამოვასწოროთ" — თქვა უეფას პრეზიდენტმა, ხოლო ზეპ ბლატერმა აღნიშნა: „ფიფა მზადაა, დაეხმაროს აზერბაიჯანს ფეხბურთის განვითარებაში, მაგრამ თქვენი პრობლემები ადგილზე უნდა მოაგვაროთ".

## სავიჩევიჩის ნაქები იოვეტიჩი

**იტალიური** მედიის ცნობით, „იუვენტუსი" და „რომა" სტეფან იოვეტიჩს აკვირდებიან. 17 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი ბელგრადის „პარტიზანში" თამაშობს. აგვისტოში უეფას თასზე „ზრინსკისთან" მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა და დიდი ევროპელების ყურადღება მიიპყრო. ცნობილია, რომ „მანჩესტერს" ფეხბურთელთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმება სურდა. იოვეტიჩს დეიან სავიჩევიჩს ადარებენ, რომელმაც ბიჭი შეაქო: „მას მსოფლიოს ნებისმიერ ლიგაში თამაში შეუძლია".

ჩერნოგორიელს „პარტიზანთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს. მისი ფასი დაახლოებით 11 მილიონი ევროა.

## იუვე ივანოვიჩს ითხოვს

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" და სერბეთის ნაკრების მცველ ბრანისლავ ივანოვიჩს „იუვენტუსი" არ ეშვება — წერს „ტუტოსპორტი".

„ბებერ ქალბატონს" დაცვის გაძლიერება სურს და ივანოვიჩში 10 მილიონი ევროს გადამხდელია, თუმც სერბი „ლოკოსთან" კონტრაქტის 2011 წლამდე გახანგრძლივებას აპირებს, რაც მის ფასს ხუთი მილიონით გაზრდის.

## პატარა კარლიტო

**„დეილი მეილის"** ცნობით, კარლოს ტევესის უმცროსი ძმით, მიგელ ტევესით, „მანჩესტერი" დაინტერესდა. „ბოკა ხუნიორსის" 17 წლის შემტევი ნახევარმცველი ცოტა ხნის წინ მანჩესტერში იყო ორი კვირით და ალექს ფერგიუსონზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შარშან მიგელი „ვესტ ჰემშიც" გახლდათ გასინჯვაზე.

## ფენინი პრემიერლიგისთვის

**„ტეპლიცეს"** ფორვარდ მარტინ ფენინით „არსენალი" და „ლივერპული" დაინტერესდნენ — წერს „ილ მესაჯერო". ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ამ ზაფხულს მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე გაიბრწყინა, რომელიც კანადაში გაიმართა. ზაფხულშივე მის შეძენას „ვერდერი", „ჰერტა", „ლაციო", „ფიორენტინა", „ბენფიკა", „სარაგოსა" და „ესპანიოლი" აპირებდნენ.

## რეალური სესკი

**„ასის"** ცნობით, მადრიდის „რეალი" მომავალი სეზონისთვის „არსენალიდან" სესკ ფაბრეგასის ყიდვას აპირებს.

„სესკი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში" — განაცხადა „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა დანია — ესპანეთის მატჩის შემდეგ. კალდერონი შარშან შეჰპირდა ქომაგებს, რომ ფაბრეგასს, კაკასა და არიენ რობენს იყიდიდა. რობენი ამ ზაფხულს „ჩელსიდან" 35 მილიონ ევროდ შეიძინა. გარდა ამისა, „რეალს" სანტანდერის „რასინგიდან" მცველ ეზიკიელ გარაის გადაბირებაც სურს.

## გვათხოვეთ ბიანკი

**„რომას"** მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი როლანდო ბიანკის იჯარით აყვანას გეგმავს. 24 წლის ფორვარდი ამ ზაფხულს „რეჯინადან" „მანჩესტერ სიტიმ" იყიდა. პირველივე ტურში გოლი გაიტანა, მაგრამ მას შემდეგ „გაქრა" და ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება.

„რომას" ბიანკი სეზონის ბოლომდე სჭირდება — წერს „გაძეტა დელო სპორტი".

## გიგზმა გააგრძელა

**რაიან გიგზმა** „მანჩესტერთან" კონტრაქტი 2009-მდე გაახანგრძლივა. 33 წლის უელსელი ნახევარმცველის დებიუტი „წითლებში" 1991 წელს შედგა და მის მერე 727 მატჩი ჩაატარა. ამ ხნის განმავლობაში 18 ჯილდო მოიგო, მათ შორის, 1999-ში ჩემპიონთა ლიგა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

## დინიევი დაიჭირეს

A ჯგუფი

**ყაზახეთი 1:2 პორტუგალია**

0:1 მაკუკულა (84), 0:2 რონალდუ (90), 1:2 ბიაკოვი (90)

**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, კარპოვიჩი (ნურდაულეტოვი 88), ლარინი (ლიაპკინი 37), სკორიხი, ჟუმასკალიევი, ბიაკოვი, ოსტაპენკო

**მწვრთნელი:** არნო პიიპერსი

**პორტუგალია:** რიკარდუ, მიგელი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ბ. ალვეში, დჟუ. მანიშე (ლ. ნანი 59), ველოზო, რონალდუ, უგო ალმეიდა (მაკუკულა 63), კვარესმა (მუტინიუ 85)

**მწვრთნელი:** ფლავიო ტეიშეირა

**გაფრთხილება:** კარპოვიჩი, ირისმეტოვი, სმაკოვი

**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

18 500 მაყურებელი

**პორტუგალიამ** ბოლო რვა წუთში გატეხა ყაზახეთი არიზა მაკუკულას და კრიშტიანუ რონალდუს გოლებით. მაკუკულა „მარიტიმუს" ფორვარდია და ნაკრებში ორშაბათს გამოიძახეს ტრავმირებული ნუნუ გომეშის ნაცვლად. კვლავ ტრიბუნაზე იჯდა დისკვალიფიცირებული ლუიშ ფელიპე სკოლარი, ვისაც ერთი მატჩიღა დარჩა „მოსახდელი".

სტუმართაგან გამოირჩეოდა ბრუნო ალვეში, რომელმაც შაბათს აზერბაიჯანთან გაიტანა.

მასპინძლები პირველი ტაიმის განმავლობაში დაცვაში იდგნენ და მეტოქის კართან ვერაფერი შექმნეს.

შესვენების შემდეგაც პორტუგალია უტევდა, მაგრამ გოლის გასატანად მაკუკულა დასჭირდა, რომელიც შეცვლაზე შევიდა. „მარიტიმუს" თავდამსხმელმა რონალდუს პასი შეირგო და პირველივე სანაკრებო მატჩში შეაგდო. რვა წუთის მერე კი „მანჩესტერული" კომბინაცია შედგა — ნანის პასით რონალდუმ ცაციათი გაიტანა. წუთის შემდეგ ყაზახებმა ერთი გაქვითეს და მეტისთვის დრო არ ეყოთ.

**აზერბაიჯანი 1:6 სერბეთი**

0:1 დ. ტოშიჩი (4), 0:2 ჟიგიჩი (22), 1:2 ალიევი (26), 1:3 იანკოვიჩი (41), 1:4 ჟიგიჩი (42), 1:5 იოვანოვიჩი (75), 1:6 ლაზოვიჩი (84)

**აზერბაიჯანი:** ველიევი (ჰასანზადე 46), ს. აბასოვი, რ. გულიევი, ჰაშიმოვი (ბაჰშიევი 50), რ. აბასოვი, ჩერტოგანოვი, ე. გულიევი, ა. გურბანოვი, იმამალიევი (ისმაილოვი 67), ს. ალიევი, სუბაშიჩი

**მწვრთნელი:** შაჰინ დინიევი

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ბიშევაცი, ივანოვიჩი, რუკავინა, ზ. ტოშიჩი, დ. ტოშიჩი, დულიაი, იანკოვიჩი (ლაზოვიჩი 68), კოვაჩევიჩი (იოვანოვიჩი 65), კუზმანოვიჩი, ჟიგიჩი (პანტელიჩი 73)

**მწვრთნელი:** ხავიერ კლემენტე

**გაფრთხილება:** იმამალიევი, კუზმანოვიჩი, ბაჰშიევი

**მსაჯი:** თომას აინვალერი (ავსტრია)

9 000 მაყურებელი

ზედიზედ ოთხი მოუგებელი მატჩის შემდეგ სერბეთმა გაიხარა და ჯგუფიდან გასვლის შანსი გააცოცხლა, აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელი შახინ დინიევი კი ნამატჩევს გადადგომას აპირებდა, მაგრამ ციკლის ჩამთავრება სთხოვეს.

„წასვლა მსურდა, თუმც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ელშად ნასიროვმა და გენერალურმა მდივანმა ელჰან მამედოვმა არ გამიშვეს. ასე რომ, შესარჩევის ბოლომდე ვიმუშავებ. დიდი ანგარიშით მარცხზე პასუხისმგებლობა, ცხადია, მე მეკისრება" — თქვა დინიევმა.

სერბები ბაქოში ჩავიდნენ, საიდანაც ფრე წაიღეს და აზერბაიჯანთან რომ ვერ მოეგოთ, ევრო 2008-ის საგზურისთვის ბრძოლას ველარ განაგრძობდნენ. ამიტომაც მიაწყდნენ საჯარიმოს თავიდანვე და ჟიგიჩ-ტოშიჩის კომბინაცია მე-4 წუთზე გოლით დასრულდა. შემდეგ ჟიგიჩმა შეაგდო კუზმანოვიჩის პასით, მაგრამ მასპინძლებმა მალევე ერთი გაქვითეს. მცველების არეულობით სამირ ალიევმა ისარგებლა.

ტაიმის მიწურულს ბოშკო იანკოვიჩმა საჯარიმო დარტყმით მესამე გაიტანა და უმალ მეოთხე მიაყოლა ნიკოლა ჟიგიჩმა. „გოლების წვიმა" მეორე ნახევრის დაწყებისთანავე შეწყდა.

შეცვლაზე შესულმა მილან ივანოვიჩმა შორიდან საგოლედ გაისროლა, ხოლო დანკო ლაზოვიჩმა ცხრა წუთში გააქვსა.

**ბელგია 3:0 სომხეთი**

1:0 სონკი (63), 2:0 დემბელე (69), 3:0 ჟერარტსი (76)

**ბელგია:** სტიინენი, ლომბარტსი (ვერტონგენი 83), სიმონსი, ვან ბუიტენი (კომპანი 60), დეფური, ფელაინი, ჟერარტსი, გოორი, სვერტსი, დემბელე, მირალასი (სონკი 46)

**მწვრთნელი:** რენე ვანდერეიკენი

**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, დოხოიანი, ოვსეპიანი, ტადევოსიანი (მკრტჩიანი 82), არაქელიანი, ქარამიანი, ხაჩატრიანი (აკოპიანი 57), მელქონიანი (ზებელიანი 70), პაჩაჯიანი, ვოსკანიანი

**მწვრთნელი:** ვარდან მინასიანი

**გაფრთხილება:** სვერტსი

**მსაჯი:** იოჰანეს ვალგეირსონი (ისლანდია)

14 812 მაყურებელი

სომხეთის ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია ბელგიაში შეწყდა. სტუმრები ერთი საათის განმავლობაში ტოლ-სწორად ეთამაშნენ მასპინძლებს და მე-7 წუთზე კონტრშეტევისას გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ართავაზ კარამიანს მეკარემ აუღო. მერე სტინ სტიინენმა არტურ ვოსკანიანის დარტყმულიც მოიგერია, ხოლო ტაიმის ბოლოს ბარტ გოორმა კარიდან გამოიტანა ბურთი, არარატ არაქელიანის თავურის შემდეგ.

მეორე ნახევრის დასაწყისიც სომხებისა იყო. სტიინენმა კვლავ იყოჩაღა და ართავაზ კარამიანს აჯობა, სამველ მელქონიანმა კი ახლოდან კარში ვერ დაუმიზნა.

ბელგია თავის შანსს ელოდა, რომელიც შეცვლაზე უესლი სონკის შესვლამ მოიტანა. გოორის დარტყმული ძელმა უკუაგდო, სონკმა კი საგოლედ დაამატა. სომხები უმალ დაიბნენ და სამ წუთში მეორე გაუშვეს — მუსა დემბელემ გაისერნა მცველებში და შორ კუთხეში გაიტანა, ხოლო კარელ ჟერარტსმა თავურით წერტილი დასვა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:10 | 24 |
| პორტუგალია | 12 | 6 | 5 | 1 | 23:10 | 23 |
| სერბეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:9 | 20 |
| ფინეთი | 12 | 5 | 5 | 2 | 11:6 | 20 |
| ბელგია | 12 | 4 | 3 | 5 | 13:14 | 15 |
| სომხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 4:11 | 9 |
| ყაზახეთი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:20 | 7 |
| აზერბაიჯანი | 10 | 1 | 2 | 6 | 5:25 | 5 |

XI ტური, 17 ნოემბერი

სერბეთი — ყაზახეთი

ფინეთი — აზერბაიჯანი

პორტუგალია — სომხეთი

პოლონეთი — ბელგია

## სამარასმა თურქეთი თითქმის დაასამარა



ოტო რეჰაგელი

C ჯგუფი

**თურქეთი 0:1 საბერძნეთი**

0:1 ამანატიდისი (79)

**თურქეთი:** ვოლქანი, ჰამიტ ალტინტოპი, სერვეთი, გოხანი, მეჰმეთი, ემრე (თურანი 71), კარადენიზი (მუქური 65), იბრაჰიმი, უმით კარანი (თუმერი 46), თუნჯაი, უნალი

**მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი

**საბერძნეთი:** ხალკიასი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, დელასი, ანცასი, ბასინასი, კარაგუნისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი, ხარისტეასი (სამარასი 59), გეკასი (ლიბეროპულოსი 56)

**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი

**გაფრთხილება:** ემრე, ტოროსიდისი

**მსაჯი:** მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

24 000 მაყურებელი

**მთელი** საბერძნეთი ზეიმობდა ოთხშაბათ საღამოს: ევროპის ჩემპიონებმა ევრო 2008-ის საგზური სადმე კი არა, თვით სტამბოლში, „მტრის ოჯახში" გამარჯვებით გაინაღდეს, იოანის ამანატიდისი კი გმირი გახდა. გეორგიოს სამარასის პასმა თურქი მცველების ხაზი გაჭრა, ამანატიდისი მეკარესთან პირისპირ დარჩა და 0:1.

თურქების საქმე ახლა ჭაკადაა, რადგან ნორვეგიასთან სტუმრობა უწევთ, რომელსაც უკვე ორი ქულით ჩამორჩებიან.

„ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და ბოლოს დაგვიფასდა" — თქვა ამანატიდისმა.

შეგახსენებთ: გაზაფხულზე ათენში ოსმალებმა 4:1 მოიგეს და ბერძნებს რევანში სწყუროდათ.

„ეს დიდებული გამარჯვებაა — განაცხადა მეკარე კოსტას ხალკიასმა — გუნდმა საუცხოოდ ითამაშა და იბრძოლა".

ეს მატჩი, შეიძლება ითქვას, ოტო რეჰაგელმა მოიგო, რადგან ანგელოს ხარისტეასის ნაცვლად შესულმა სამარასმა უმალ დაატყო ფეხი გუნდს და საგოლე პასი მიითვალა. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე თურქებს გათანაბრება შეეძლოთ — ტურანის დარტყმული ხალკიასმა მოიგერია და მერე ბურთი ძელს მოხვდა.

**ბოსნია 0:2 ნორვეგია**

0:1 ჰაგენი (5), 0:2 ბ. რიისე (74)

**ბოსნია:** გუსო, ბაჯიჩი, ბერბეროვიჩი, მერზიჩი, ნადარევიჩი, კრუნიჩი, მალეტიჩი (მუარემოვიჩი 78), მისიმოვიჩი, ბლატნიაკი (იბიშევიჩი 46), მუსლიმოვიჩი (ძეკო 46), სალიჰოვიჩი

**მწვრთნელი:** ფუად მუზუროვიჩი

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდრესენი, გრინდჰეიმი (რუშფელდტი 58), მ. პედერსენი, ი. რიისე, ბ. რიისე (ბიორკოი 90), სოლი, სტორბაეკი, ჰელსტადი (ბრაატენი 76)

**მწვრთნელი:** აგე ჰარეიდე

**გაფრთხილება:** სალიჰოვიჩი, მისიმოვიჩი, ჰაგენი, რუშფელდტი, ძეკო

**მსაჯი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

1 500 მაყურებელი

ბოსნიას ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ ჰქონდა. სკანდინაველებმა კი ოცი ქულა მოაგროვეს და ორი თამაშიღა დარჩათ — შინ თურქეთთან და სტუმრად მალტასთან. თურქებს თუ მოუგებს, ევრო 2008-ის საგზურს ჩაიჯიბავენ.

ნორვეგიელები სარაევოში მე-5 წუთზე დაწინაურდნენ. რიისემ საჯარიმოში ჩააწოდა, ერიკ ჰაგენმა კი საპენალტედან თავით გაიტანა.

ბოსნიელებს მალევე ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ ზვეზდან მისიმოვიჩმა ბურთი ტრიბუნაზე მიაბრძანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბოსნია გამოცოცხლდა. მისიმოვიჩის, მერზიჩის და ჯეკოს დარტყმულები მეკარემ მოიგერია, ბოლოს კი ისევ ნორვეგია ათამაშდა და პედერსენის ჩაწოდებული რიისემ გოლად აქცია.

**მაჟა ხუციშვილი**

**მალტა 2:3 მოლდოვა**

0:1 ბუგაევი (243), 0:2, 0:3 ფრუნზა (31, 35), 1:3 შკერი (71), 2:3 მიფსუდი (84)

**მალტა:** ჰაბერი, აზოპარდი, ბრიფა (ნვოკო 90), დიმეში, საიდი, შიკლუნა (შკერი 46), მალია, პაჩე, მიფსუდი, შემბრი (კოჰენი 46), ვუდსი

**მწვრთნელი:** დუშან ფიტცელი

**მოლდოვა:** პაშენკო, გოლოვაცენკო, ლაშკენოვი, სტროენკო, ბორდიანი, კომლენოკი (ნამასკო 69), კორნენცოვი, გაცკანი (ზმეი 77), ჯოსანი, ბუგაევი, ფრუნზა (დოროსი 83)

**მწვრთნელი:** იგორ დობროვოლსკი

**გაფრთხილება:** გაცკანი, სტროენკო, დიმეში, შიკლუნა, გოლოვაცენკო, პაშენკო, ფრუნზა, კორნენცოვი, გოლოვაცენკო

**გაძევება:** გოლოვაცენკო (86)

**მსაჯი:** იგორ იშჩენკო (უკრაინა)

10 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:9 | 25 |
| ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 22:8 | 20 |
| თურქეთი | 10 | 5 | 3 | 2 | 22:10 | 18 |
| ბოსნია | 11 | 4 | 1 | 6 | 16:21 | 13 |
| უნგრეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 10:17 | 12 |
| მოლდოვა | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| მალტა | 10 | 1 | 2 | 7 | 9:22 | 5 |

XI ტური, 17 ნოემბერი

მოლდოვა — უნგრეთი

საბერძნეთი — მალტა

ნორვეგია — თურქეთი

## ძილისპირული

D ჯგუფი

**გერმანია 0:3 ჩეხეთი**

0:1 სიონკო (2), 0:2 მატეიოვსკი (23), 0:3 პლასილი (63)

**გერმანია:** ჰილდებრანდი, ა. ფრიდრიხი, მერტესაკერი, მეცელდერი (ფრიცი 46), იანსენი, ოდონკორი, ფრინგსი, შვაინშტაიგერი (გომესი 65), ტროხოვსკი (როლფესი 46), კურანი, პოდოლსკი

**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი

**ჩეხეთი:** პ. ჩეხი, უიფალუში, როზენალი, რ. კოვაჩი, პოშპეხი, გალაშეკი, მატეიოვსკი, პლასილი, პუდილი (კულიჩი 73), კოლერი (ფენინი 79), სიონკო (ვლჩეკი 58)

**მწვრთნელი:** კარელ ბრიუკნერი

**გაფრთხილება:** პოდოლსკი

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

66 000 მაყურებელი

**1998 წლის** 10 ოქტომბერს გერმანიამ სტუმრად თურქეთთან 0:1 წააგო ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩში... მას მერე ცხრა წელი გავიდა და ჩეხეთთან მატჩამდე გერმანიამ 24 შესარჩევი შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა. ეს შთამბეჭდავი სერია ბუნდესნაკრებს კარელ ბრიუკნერის შეგირდებმა შეუწყვიტეს, თან როგორ.

და ერთიც, რაც იოახიმ ლიოვმა გერმანია ჩაიბარა, ოფიციალური მატჩი არ წაეგო.

გერმანიას ევრო 2008-ის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ბუნდესნაკრებს შინ ასე სამარცხვინოდ წაგება არ ეკადრებოდა.

ჩეხები მე-2 წუთზევე დაწინაურდნენ, მასპინძელთა დაცვა ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას ჩავარდა, რაც კოლერ-პლასილის მოკლე კომბინაციით და სიონკოს გოლით დასრულდა. 23-ე წუთზე კი მარეკ მატეიოვსკიმ კარგად ჩამოიტოვა ტორსტენ ფრინგსი, კრისტოფ მეცელდერი და სხვაობა გაზარდა.

წერტილი პლასილმა დასვა დანიელ პუდილის პასით.

„ჩვეულად შემართულნი არ ვიყავით. პირველი გოლისას გვეძინა და ვერც მერე გავილვიძეთ" — თქვა გერმანელთა კაპიტანმა ფრინგსმა.

„არც სისწრაფე გვქონდა, არც მოძრაობა, არც ორგანიზება. ერთი სიტყვით, ძალიან ცუდად ვითამაშეთ. არაფერი ჩანდა, რაზეც ბოლო თვეებში ვიმუშავეთ" — თქვა ლიოვმა.

კარელ ბრიუკნერი: „რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული და კმაყოფილი ვარ, ევროპის ჩემპიონატზე გავედით. ამ მატჩისთვის კარგად ვიყავით მომზადებულნი და სწრაფი გოლიც დაგვეხმარა".

**ძოძი ძანძელაძი**

**ირლანდია 1:1 კვიპროსი**

0:1 ოკარიდისი (80), 1:1 ფინანი (90)

**ირლანდია:** გივენი, ფინანი, მაკშეინი, ოში, ჰანტი (დუგლასი 74), კილბეინი, ობრაიენი (ლ. მილერი 46), რიდი, დოილი, კინი, კეოფი (მაკგიდი 63)

**მწვრთნელი:** სტივ სტონტონი

**კვიპროსი:** გეორგიადიდისი, ელია, ნიკოლაუ, ოკარიდისი, პარასკევასი, ხარალამბიდისი, გარპოცისი, მაკრიდისი (თეოფილუ 86), საციასი (მარანგოსი 69), ოკასი, იასუმისი (მიხაილი 73)

**მწვრთნელი:** ანგელოს ანასტასიადისი

**გაფრთხილება:** მილერი, საციასი

**გაძევება:** ელია (90)

**მსაჯი:** მიკო ვუორელა (ფინეთი)

45 500 მაყურებელი

**სან მარინო 1:2 უელსი**

0:1 ერნშოუ (13), 0:2 ლედლი (36), 1:2 სელვა (73)

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ალბანი, ბონიფაცი (ბონინი 62), დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ვალენტინი, ვანუჩი (ბუგლი 76), ანდრეინი, მუკიოლი, დე ლუიჯი (ვიტაიოლი 80), ე. სელვა

**მწვრთნელი:** ჯამპაოლო მაცა

**უელსი:** პრაისი, ბეილი, ერდლი, გაბიდონი, ნიატანგა, ს. დევისი, ლედლი, კ. რობინსონი, ვუგანი (რიკეტსი 62), ბელამი, ერნშოუ

**მწვრთნელი:** ჯონ ტოშაკი

**გაფრთხილება:** ვალენტინი, ბეილი, ალბანი, ვანუჩი, ლედლი, ვიტაიოლი, ალბანი, რიკეტსი

**გაძევება:** ალბანი (85)

**მსაჯი:** ანტონი ზამიტი (მალტა)

1 182 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 22:4 | 23 |
| გერმანია | 10 | 7 | 2 | 1 | 31:7 | 23 |
| ირლანდია | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 16 |
| კვიპროსი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:18 | 14 |
| სლოვაკეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 27:20 | 13 |
| უელსი | 10 | 4 | 1 | 5 | 16:17 | 13 |
| სან მარინო | 11 | 0 | 0 | 11 | 2:52 | 0 |

XI ტური, 17 ნოემბერი

უელსი — ჩრდ. ირლანდია

გერმანია — კვიპროსი

ჩეხეთი — სლოვაკეთი

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ლოცვის დრო მოვიდა

## ინგლისმა პლასტმასის ტყვიით დაჭრილ მაკლარენს შეუტია

### E ჯგუფი

**რუსეთი 2:1 ინგლისი**

0:1 რუნი (29), 1:1, 2:1 პავლიუჩენკო (69პ, 73)
**რუსეთი:** გაბულოვი, ანიუკოვი, ვ. ბერეზუცკი (ტორბინსკი 46), იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ზირიანოვი, სემშოვი, ჟირკოვი, ბილიალეტდინოვი, არშავინი (კოლოდინი 90), კერჟაკოვი (პავლიუჩენკო 58)
**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი
**ინგლისი:** პ. რობინსონი, რიჩარდსი, ფერდინანდი, კემპბელი, ლესკოტი (ლამპარდი 80), რაიტ-ფილიპსი (დაუნინგი 80), ჯერარდი, ბერი, ჯ. კოული (კრაუჩი 80), ოუენი, რუნი
**მწვრთნელი:** სტივ მაკლარენი
**გაფრთხილება:** ვ. ბერეზუცკი, ფერდინანდი, რუნი, პავლიუჩენკო
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
84 700 მაყურებელი

„**ისლა** დაგვრჩენია, ვილოცოთ" — თქვა ნამატჩევს უეინ რუნიმ, რომელმაც გოლიც გაიტანა და პენალტიც „აიკიდა". გამეორებაზე გამოჩნდა, რომ რუნიმ ზირიანოვს ხელი კი სტაცა მაისურზე, მაგრამ ეს საჯარიმოს გარეთ მოხდა და რუსი მოჭრილი ხესავით ხაზს შიგნით დაეცა. ამას მოჰყვა პავლიუჩენკოს გოლი თერთმეტი მეტრიდან, ინგლისის ხუთწუთიანი არევა და კვლავ პავლიუჩენკოს გოლი.

„ეს უნამუსობაა — განაცხადა მაკლარენმა — წესის დარღვევა გვერდით მსაჯს არ აღუნიშნავს, კანტალეხო კი იმ ადგილიდან შორს იდგა და მაინც პენალტი დანიშნა".

ინგლისი ახლა ისრაელ — რუსეთის მატჩზეა დამოკიდებული, რომელიც 17 ნოემბერს თელ ავივში გაიმართება, 21-ში კი გუუს ჰიდინკის გუნდი ანდორას ესტუმრება და იქ მოგება არ გაუჭირდება. სტივ მაკლარენის ნაკრებს ერთი თამაშიღა დარჩა ხორვატიასთან, მაგრამ თუ რუსებმა ორივეში იმარჯვეს, ინგლისს გადაასწრებენ და ევროპის ჩემპიონატს მიღმა დატოვებენ.

„დეილი მირორმა" ეს მარცხი „პლასტმასის ტყვიად" მონათლა, რაკი თამაში ხელოვნურ საფარზე გაიმართა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ჯეიმი რედნაპმა განაცხადა: „სტივ მაკლარენმა არაფერი თქვა, მაგრამ ხელოვნური საფარი ნამდვილად ნაგავია. მწვრთნელს არ უნდა, რომ მარცხი ამას დააბრალოს. ასეთ მინდორზე თამაში არ შეიძლება და უეფა შეცდა, რომ ნება დართო. თვითონ მითამაშია ხელოვნურზე, ბურთი უცნაურად დახტის და არ დასრიალებს. ეს საშინელებაა".

ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ პლატი: „დიდი ხანია, ასეთი დაძაბული მატჩი არ მინახავს და ჩვენი ნაკრები, რატომღაც სწორედ მსგავს პრინციპულ შეხვედრებში იბნევა. ეგებ ახლა მაინც მოხსნან მაკლარენი. მისი დღეები დათვლილია. კი მოიგეს ზედიზედ ხუთი თამაში 3:0, მაგრამ მთავარი მატჩი წააგეს".

**ვაჟა ხუციშვილი**

**მაკედონია 3:0 ანდორა**

1:0 ნაუმოსკი (30), 2:0 სედლოსკი (44), 3:0 პანდევი (59)
**მაკედონია:** პაჩოვსკი, ლაზარევსკი, მიტრესკი, ნოვესკი, სედლოსკი, პოპოვი, შუმოლიკოსკი, ტასევსკი (ტრაიანოვი 84), მაზნოვი (რისტიჩი 62), ნაუმოსკი (პოლოზანი 75), პანდევი
**მწვრთნელი:** სრეჩკო კატანეცი
**ანდორა:** ჯ. ალვარესი, ხ. ფერნანდესი, ი. ლიმა, სონეხე, ხ. აიალა, ესკურა, მ. ხიმენესი (სომოსა 78), პუხოლი, ხ. რუისი (ანდორა 63), ტოსკანო (ჯ. რიერა 82), მ. ვიეირა
**მწვრთნელი:** დავიდ როდრიგო
**გაფრთხილება:** ლიმა, სონეხე, ალვარესი, სონეხე
**გაძევება:** სონეხე (77)
**მსაჯი:** პაულიუს მალზინსკასი (ლიტვა)
18 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 8 | 2 | 0 | 25:4 | 26 |
| ინგლისი | 11 | 7 | 2 | 2 | 22:4 | 23 |
| რუსეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:5 | 21 |
| ისრაელი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:11 | 17 |
| მაკედონია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | 11 |
| ესტონეთი | 11 | 1 | 1 | 9 | 3:21 | 4 |
| ანდორა | 10 | 0 | 0 | 10 | 2:39 | 0 |

**XI ტური, 17 ნოემბერი**
**მაკედონია — ხორვატია**
**ისრაელი — რუსეთი**
**ანდორა — ესტონეთი**

# ლიხტენშტაინური რეკორდი

### F ჯგუფი

**დანია 3:1 ლატვია**

1:0 ტომასონი (7პ), 2:0 უ. ლაურსენი (27), 2:1 გორკსი (80), 3:1 რომედალი (90)
**დანია:** თ. სორენსენი, პელვეგი, მ. ლაურსენი, უ. ლაურსენი (ანდრეასენი 32), ქ. სორენსენი, დ. იენსენი, პოულსენი (გრონკიაერი 71), კალენბერგი, რომედალი, ბენდტნერი, ტომასონი
**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი
**ლატვია:** ვანინსი, გორკსი, ივანოვსი, კლავა, ზირნისი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, სოლონიცინსი, ვიშნიაკოვსი (ჟიგაიევსი 78), პახარსი (კაცანოვსი 90), რიმკუსი (ბუტრიკისი 63)
**მწვრთნელი:** ალექსანდრს სტარკოვსი
**გაფრთხილება:** იენსენი
**მსაჯი:** ჩუნეით ჩაქირი (თურქეთი)
19 004 მაყურებელი

**დანია** კოპენჰაგენში ლატვიასთან რთული გამარჯვების შემდეგ ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს. სკანდინაველებს შინ თითქოს არ უნდა ენერვიულათ, საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე ხომ დანია ბალტიელებს 2:0-ს ამარცხებდა, თუმცა მეტოქის მცველმა კასპარას გორკსმა ანგარიში სხვაობა შეამცირა და ადგილობრივ ფანობას გული გაუხეთქა. მიუხედავად ამისა, ვიკინგები გონს მოვიდნენ და დენის რომედალმაც 89-ე წუთზე მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა.

კოპენჰაგენის ჯახი მასპინძლებისთვის იღბლიანად დაიწყო — ოსკარს კლიავამ საჯარიმოში ხელით ითამაშა და იონ დალ ტომასონმაც პენალტით 49-ე სანაკრებო გოლი გაიტანა. 27-ე წუთზე ლაურსენმა რომედალის საოლე პასით ისარგებლა, ხოლო მატჩის ბოლოს ანდრის ვინინსის კარი თავად რომედალმა დალაშქრა.

**შვედეთი 1:1 ჩრდ. ირლანდია**

1:0 მელბერგი (15), 1:1 ლაფერტი (72)
**შვედეთი:** ისაკსონი, კონზა, ედმანი, მელბერგი, ჰანსონი, კალსტრიომი (ა. იოჰანსონი 85), ლინდეროტი, სვენსონი, ვილჰელმსონი (ნილსონი 46), იბრაჰიმოვიჩი, ელმანდერი (ოლბოკი 73)
**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბეკი
**ჩრდ. ირლანდია:** ტეილორი, ჰიუზი, კრეიგანი, მაკოლი, მაკკარტნი (კაპალდი 87), ბრანტი, კლინგენი, ს. დევისი, ჰილი, ლაფერტი, სპრული
**მწვრთნელი:** ნაიჯელ უორზინგტონი
**გაფრთხილება:** ლაფერტი, კონზა, ჰანსონი
**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)
33 112 მაყურებელი

კაილ ლაფერტის გოლმა ჩრდილოეთ ირლანდიას ქულა მოუტანა, შვედეთის ნაკრებს კი საშუალება არ მისცა, ევროპის ჩემპიონატის საგზური ნაადრევად დაებევებინა.

შვედებს რომ მოეგოთ, ევრო 2008-ზე გადიოდნენ, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 18 წუთით ადრე მასპინძელთა გოლს ლაფერტიმ ზუსტი დარტყმით უპასუხა.

შვედებმა ანგარიში მე-15 წუთზე გახსნეს, როცა მელბერგმა ტობიას ლინდეროტის ჯარიმას საგოლედ დაარტყა. ადგილობრივებს გატანის შანსი კიდევ ჰქონდათ — ანდერს სვენსონის თავური მიზანს ასცდა, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩის გასროლა მაიკ ტეილორმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ უპირატესობა ხელთ ჩრდილოეთ ირლანდიამ მოიგდო. ლაფერტიმ, ჯორჯ მაკარტნიმ და სტივენ დევისმა ხელსაყრელი სიტუაციებიდან ვერ გაიტანეს, კრის ბრანტმა კი ბურთი შვედთა კარის ძელს დაახვედრა. გოლი მაინც ლაფერტიმ შეაგდო — შორეული პასით ისარგებლა, საჯარიმოში შეიჭრა და...

**ლიხტენშტაინი 3:0 ისლანდია**

1:0 ფრიკი (27), 2:0, 3:0 თ. ბეკი (80, 83)
**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, ოერი, შტოკლასა, ტელსერი, ბუჩელი, ბურგმაიერი, გერსტერი, ფიშერი (თ. ბეკი 61), ფრიკი (დელია 90), რორერი (რ. ბეკი 69)
**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ცაუგი
**ისლანდია:** არასონი, ინგიმარსონი, იონსონი (სკულასონი 71), რ. სიგურდსონი, კ. სიგურდსონი, გუდიონსონი (ბიორნსონი 57), ბ. გუნარსონი (ასგეირსონი 85), ჰალფრედსონი, ვიდარსონი, გუდიონსენი, თორვალდსონი
**მწვრთნელი:** ეიოლფურ სვერისონი
**გაფრთხილება:** შტოკლასა, გუდიონსენი, ტელსერი
**მსაჯი:** ხრისტოფოროს ზოგრაფოსი (საბერძნეთი)
2 589 მაყურებელი

გასაწყლებულ ირლანდიას ლიხტენშტაინმაც მოუგო. ტომას ბეკისა და მარიო ფრიკის გოლების შემდეგ ტაბლოზე 3:0 დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასპინძლებმა რეკორდი მოხსნეს — ლიხტენშტაინს ევროშესარჩევებში ასეთი ანგარიშით არასოდეს გაუმარჯვია...

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 21:5 | 23 |
| ესპანეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 22 |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 17 |
| დანია | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 17 |
| ლატვია | 10 | 3 | 0 | 7 | 10:14 | 9 |
| ისლანდია | 11 | 2 | 2 | 7 | 10:24 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:28 | 7 |

**XI ტური, 17 ნოემბერი**
**ესპანეთი — შვედეთი**
**ჩრდ. ირლანდია — დანია**
**ლატვია — ლიხტენშტაინი**

# ჯერ რუმინეთი, მერე ჰოლანდია

### G ჯგუფი

**ლუქსემბურგი 0:2 რუმინეთი**

0:1 ფ. პეტრე (42), 0:2 მარიკა (61)
**ლუქსემბურგი:** ჟოლე, ჰოფმანი, კინციგერი, ლანგი, მუტში, ვაგნერი, ბეტმერი (ჟ. ფერეირა 49), პაიალი (ლევაკო 68), პეტერსი, რემი, კოტენი (და მოტა 57)
**მწვრთნელი:** გი ჰელერსი
**რუმინეთი:** ლობონტი, ოგარარუ, გოიანი, ტამაში, რაცი, კოჩუ (ო. პეტრე 87), მარგარიტესკუ, ფ. პეტრე, დიკა (კრისტეა 68), მარიკა, ნიკულაე (ბრატუ 76)
**მწვრთნელი:** ვიქტორ პიცურკა
**გაფრთხილება:** მარიკა, ფ. პეტრე
**მსაჯი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)
3 584 მაყურებელი

**ევრო** 2000-ის მერე რუმინელებს არც ერთი დიდი საფეხბურთო ტურნირის ფინალურ ეტაპზე არ უთამაშიათ და, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს. ვიქტორ პიცურკას შეგირდებმა ლუქსემბურგთან მორიგი გამარჯვება მოიპოვეს და ევრო 2008-ის საგზური გაინაღდეს.

რუმინელებს ლუქსემბურგთან პრობლემა არ შექმნიათ — პიცურკას გუნდმა მეტოქეს თითო ტაიმში თითო გოლი აკმარა. გერმანული „შტუტგარტის" ფორვარდმა ჩიპრიან მარიკამ ჯერ ფლორენტინ პეტრეს გაატანინა, მერე თავადაც იხეირა.

„ამ მომენტს შვიდი წელი ველოდით და ძალიან ბედნიერები ვართ. სამწუხაროა, რომ წინა დიდ ტურნირებზე ვერ მოვხვდით, მაგრამ ამიერიდან ყველა დასახულ მიზანს მივაღწევთ. ამ წარმატებას ვუძღვნი ყველას, ვისაც ჩვენი სჯეროდა და გვერდზე გვედგა" — თქვა რუმინელთა კაპიტანმა კრისტიან კივუმ.

ვიქტორ პიცურკა: „ჰოლანდიასთან მოგების შემდეგ ბიჭებს შეეძლოთ, თავისთვის მოდუნების უფლება მიეცათ, მაგრამ მათ პროფესიონალიზმი გამოავლინეს და ეს მახარებს. ევრო 2008-ისთვის მზადებას დღეიდანვე ვიწყებთ. ამიტომაც ჯგუფის ბოლო მატჩში ბულგარეთთან ძირითადი შემადგენლობით ვითამაშებთ. სოფიაში მოგება და შესარჩევის წაუგებლად, პირველ ადგილზე ჩამთავრება გვინდა".

**ჰოლანდია 2:0 სლოვენია**

1:0 სნეიდერი (14), 2:0 ჰუნტელაარი (88)
**ჰოლანდია:** შტეკელენბურგი, ჰეიტინგა, იალიენსი, ემანუელსონი, ბუმა, სნეიდერი, დე ზეუვი, ზეედორფი, ვან დერ ვაარტი (რობენი 29; ბაბელი 63), ჰუნტელაარი, ვან პერსი (ოიერი 60)
**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი
**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, სეზარი, კომაცი, კორენი, მორეცი, ბირსა (ნოვაკოვიჩი 68), კირმი (ჟლოგარი 82), ლავრიჩი, ზლოგარი, ბრეცკო (ლოუბოევსკიჩი 86), ილიჩი
**მწვრთნელი:** მატიაჟ კეკი
**გაფრთხილება:** ილიჩი, ბუმა, კომაცი
**მსაჯი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)
35 000 მაყურებელი

ჰოლანდიელები ფლობდნენ უპირატესობას, ძელსაც გაარტყეს ბურთი, ბევრი მომენტი შექმნეს და საბოლოოდ ორ გოლს დასჯერდნენ.

პირველი გოლი ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა უესლი სნეიდერმა შეაგდო 12 მეტრიდან კლაასიან ჰუნტელაარის პასით. მატჩის მიწურულს კი თავად ჰუნტელაარმაც იხეირა, ვისაც ასისტენტობა კლარენს ზეედორფმა გაუწია.

მარკო ვან ბასტენის შეგირდებმა ლუქსემბურგს თუ სძლიეს, ევრო 2008-ის საგზურს გაინაღდებენ.

„შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშით არც ისე. პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩავატარეთ და წესით, 2:0 ან 3:0 უნდა მოგვეგო. ამის ნაცვლად, მეორე ნახევარში მეტოქემ პრობლემები შეგვიქმნა. სამწუხაროა, რომ რობენი, ვან დერ ვაარტი და ვან პერსი დაშავდნენ, მაგრამ ლუქსემბურგს აუცილებლად უნდა მოვუგოთ" — თქვა ვან ბასტენმა.

**ალბანეთი 1:1 ბულგარეთი**

1:0 კიშიშევი (32ა.კ.), 1:1 ბერბატოვი (87)
**ალბანეთი:** ბექაი, კური, დალაკუ, დედა, ვანგელი, დური, ჰაჯი (მუკა 46), ლალა, შკელა, ბოგდანი, სალიჰი (ბუღაკუ 73)
**მწვრთნელი:** ოტო ბარიჩი
**ბულგარეთი:** პეტკოვი, კიშიშევი, ანგელოვი, ილიევი, ტომაშიჩი, ვაგნერი, ს. პეტროვი (გეორგიევი 46), ტელკისკი (იანკოვი 46), მ. პეტროვი, ბერბატოვი, პოპოვი
**მწვრთნელი:** დიმიტარ პენევი
**გაფრთხილება:** ილიევი, ვანგელი, ვაგნერი, ბექაი
**მსაჯი:** ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)
8 000 მაყურებელი

ბულგარეთს ჯგუფიდან გასვლის ისედაც მცირე შანსი რჩებოდა, მაგრამ ტირანაში ალბანეთთან ვერმოგებით ეს შანსი კიდევ უფრო მიზერული გახდა. სამაგიეროდ, ამ ფრით დიმიტარ პენევის შეგირდებმა ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე ნაადრევად გაიყვანეს რუმინეთი და შვეიცარია-ავსტრიისკენ მიმავალი გზა გაუადვილეს ჰოლანდიას.

რადოსტინ კიშიშევის ავტოგოლით მასპინძლები 88-ე წუთამდე იგებდნენ, ხოლო მას მერე, რაც დიმიტარ ბერბატოვმა მარტინ პეტროვის პასით ანგარიში გაათანაბრა, ბულგარელების კარში პენალტი დაინიშნა, თუმცა ერვინ შკელას გეორგი პეტკოვმა აუღო.

**გიორგი კაკაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 20:5 | 26 |
| ჰოლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 13:3 | 23 |
| ბულგარეთი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:7 | 19 |
| სლოვენია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:8 | 11 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 1 | 7 | 11:20 | 7 |
| ლუქსემბურგი | 11 | 1 | 0 | 10 | 2:22 | 3 |

**XI ტური, 17 ნოემბერი**
**ბულგარეთი — რუმინეთი**
**ალბანეთი — ბელარუსი**
**ჰოლანდია — ლუქსემბურგი**

შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ, ორი ან მეტი გუნდის თანაბარქულიანობის შემთხვევაში, საბოლოო მდგომარეობა ცხრილში განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. ურთიერთშეხვედრებში დაგროვებული ქულებით
2. ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობით
3. ურთიერთშეხვედრებში გატანილი გოლებით
4. ურთიერთშეხვედრებში სტუმრად გატანილი გოლებით

თუ ეს ვერ გამოავლენს უკეთესს ორ ან მეტ გუნდს შორის, თანაბარქულიანებს დაეთვლებათ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები დანარჩენ თანაჯგუფელებთან. ამ შემთხვევაშიც თუ თანაბრობაა, მაშინ დაითვლება ყველა საკვალიფიკაციო მატჩის შედეგი: 1. ბურთების სხვაობა, 2. გატანილი გოლები, 3. სტუმრად გატანილი გოლები, 4. ფეარ პლეის რეიტინგი, 5. წილისყრა.

## ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

| I ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| ხორვატია | 6 | 4 | 0 | 2 | 10:8 | 12 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 10 |
| ალბანეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:6 | 7 |
| ფარერები | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:11 | 1 |

| II ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 16:1 | 10 |
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 9 |
| უკრაინა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 9 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 0 | 5 | 3:19 | 0 |

| III ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| პორტუგალია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| ჩერნოგორია | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 2:4 | 3 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

| IV ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| პოლონეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| ყაზახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | 3 |

| V ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| მაკედონია | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:9 | 0 |

| VI ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 6:2 | 12 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| სლოვენია | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:10 | 1 |

| VII ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:8 | 5 |
| ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ისლანდია | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |

| VIII ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| სერბეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:14 | 0 |

| IX ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| მოლდოვა | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

| X ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 11 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბოსნია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია

საკვალიფიკაციო წრე

ყირგიზეთი 2:0 იორდანია

სიერა ლეონე 1:0 გვინეა ბისაუ

## ამხანაგური მატჩები

სალვადორი 0:0 ტრინიდადი

კოსტა რიკა 1:1 ჰაიტი

მექსიკა 2:3 გვატემალა

# რატომ აკეთებთ ამას?

## რაიტი ლამპარდს გადაეფარა



**ნეტავ** პირისპირ შემახვედრა ყველა იმ ფანთან, რომელიც ფრენკ ლამპარდს ლანძღავს — წერს „სანში" ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი იან რაიტი და თემას განავრცობს — სიამოვნებით შევხედავდი თვალებში და ვკითხავდი: რატომ აკეთებთ ამას? დარწმუნებული ვარ, ამ კითხვას დასაბუთებულ პასუხს ერთიც ვერ გასცემდა...

...ამ ადამიანებს, უბრალოდ, სხვისი გაწბილება სიამოვნებთ და სულ ეს არის. ისინი ეგოისტები არიან. მათ არ ესმით, რომ ებრძვიან კაცს, რომელიც თავისი ქვეყნისთვის ძალას და ღონეს არ იშურებს. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ამ ფანებს თავიანთი შეძახილები სახალისო ჰგონიათ...

...არ გამოვრიცხავ, რომ ბევრს შურდეს კიდეც, თუმცა საინტერესოა, რაღა მაინც და მაინც ფრენკის? ლამპარდს ხომ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებდნენ და მესამე წელიწადს ასეთი რამ უნდა მიიღოს? ეს ხომ ძალიან უცნაურია...

...მე რომ ფეხბურთელი ვიყავი, სტუმრად მისტვენდნენ ხოლმე, მაგრამ ეს სტვენა ძალებს მიორმაგებდა და გოლის გატანას კიდევ უფრო მეტი დაჟინებით ვცდილობდი. მაგრამ, როდესაც შინ ხარ და საკუთარი გულშემატკივარი გისტვენს, სულ სხვა განწყობაზე დგები. მახსოვს, ასეთ რაღაცას ძალიან განიცდიდა ჯონ ბარნსი. ასევე იყო კრის უოდლი, უფრო ბოლო პერიოდში კი ოუენ ჰარგრივსი...

...ახლა კი, მოდი, ასეთ რამეს შეგეკითხებით: წარმოიდგინეთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავედით, ნახევარფინალში ვართ, ანგარიში თანაბარია და ბოლო წუთზე მეკარესთან ჩვენი ერთ-ერთი ნახევარმცველი პირისპირ გადის. ვინ გინდათ, ეს ნახევარმცველი რომ იყოს? რა თქმა უნდა, ფრენკ ლამპარდი. ყველა ნორმალური ფანი ჩემს მიერ აღწერილ მომენტში მეტოქის მეკარესთან პირისპირ ფრენკ ლამპარდს ისურვებს...

–ვიმედოვნებ, ფრენკ ლამპარდი ამ ყველაფერს გადალახავს. ის ძლიერი პიროვნებაა და საამისოდ ოსტატობაც ეყოფა...

...ახლა მეტყვიან, რომ ის რონალდინიო არ არის. კი ბატონო, ის მართლაც არ არის რონალდინიო, მაგრამ ფეხბურთში მუხლჩაუხრელი შრომით საკმაოდ დიდი გზა გაიკვალა. მისი და სტივენ ჯერარდის შედარებაც არ შეიძლება, ისინი ფრიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ფრენკი თანამედროვე დევიდ პლატია და მას იმაზე მეტი ნდობა და პატივისცემა ერგება, ვიდრე აქვს...

–გამიგია, გოლები გააქვს და სულ ეს არისო. არ არის მართალი. ფრენკი გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ გოლი, მაგრამ ასეც რომ იყოს, მგონი, ფეხბურთის აზრი სწორედ მეტოქის კარში გოლის გატანა უნდა იყოს, ასე არ არის, განა?!

**პაატა ძიძია**

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 3 | უიგანი-პორტსმუთი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 4 | არსენალი-ბოლტონი | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 18:00 | 5 | არსენალი-ბოლტონი 0:1 | 1.65 | 3.60 | 3.60 | | | |
| 20:15 | 6 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| 20:15 | 7 | ასტონ ვილა-მანჩესტერი 1:0 | 2.00 | 3.40 | 2.65 | | | |
| 18:00 | 8 | ბლექბერნი-რედინგი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 15:45 | 9 | ევერტონი-ლივერპული | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 18:00 | 10 | ფულემი-დერბი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 18:00 | 11 | სიტი-ბირმინგემი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 18:00 | 12 | სიტი-ბირმინგემი 0:1 | 2.35 | 3.30 | 2.35 | | | |
| 18:00 | 13 | მიდლსბრო-ჩელსი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ვესტ ჰემი-სანდერლენდი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | 22 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 1 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 14 | სტოკი-[illegible] | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 15 | უოტფორდი-ჰალი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 16 | ბარნსლი-ბარნლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 17 | ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 18 | ბლეკპული-კრისტალ პალასი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 19 | კოლჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 18:00 | 20 | ნორვიჩი-ბრისტოლი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 21 | პლიმუთი-ქოვენტრი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 22 | ქპრ-იფსვიჩი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 23 | შეფილდი-პრესტონი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 20:20 | 25 | სკანთორპი-ლესტერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | 21 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:15 | 24 | საუთჰემპტონი-კარდიფი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 27 | სუონსი-ჰარტლპული | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 28 | სუინდონი-ტრანმერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 14205 | ბრესტი-აიაჩო | 1.70 | 2.20 |
| 14206 | შატორუ-სედანი | 1.90 | 1.90 |
| 14207 | კლერმონი-ანჟე | 1.80 | 2.00 |
| 14208 | გრენობლი-გენგამი | 1.45 | 2.40 |
| 14209 | გენიონი-დიჟონი | 1.90 | 1.90 |
| 14210 | ლე ავრი-ამიენი | 1.30 | 2.50 |
| 14211 | ლიბურნი-ნიორი | 1.90 | 1.90 |
| 14212 | რეიმსი-მონპელიე | 1.90 | 1.90 |
| 14213 | ნანტი-ტრუა | 1.65 | 2.30 |
| 14229 | გრაფშაპი-სპარტა | 1.70 | 2.20 |
| 14236 | ჰერაკლესი-ვიტესი | 2.00 | 1.80 |
| 14237 | ალკმაარი-ჰერენვენი | 1.45 | 2.40 |
| 14238 | ტილბურგი-ბრედა | 1.95 | 1.85 |
| 14239 | როდა-უტრეხტი | 1.70 | 2.20 |
| 14240 | გრონინგენი-ტვენტე | 1.80 | 2.00 |
| 14241 | ემენი-ზვოლე | 1.80 | 2.00 |
| 14242 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 2.20 | 1.70 |
| 14243 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 1.75 | 2.10 |
| 14244 | ჰელმონდი-კამბური | 1.65 | 2.30 |
| 14245 | ვალვაიკი-ვენდამი | 1.20 | 2.60 |
| 14246 | ოსი-ომნივორლდი | 1.20 | 2.60 |
| 14247 | აპელდორნი-ეინდჰოვენი | 1.45 | 2.40 |
| 14248 | დენ ჰააგი-ხეტარდი | 1.30 | 2.50 |
| 14249 | რბც-როზენდალი | 1.95 | 1.85 |
| 14250 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 1.30 | 2.50 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10085 | ვერდერი-ჰერტა | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10087 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10088 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10089 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10090 | ბოხუმი-ბაიერნი | 5.80 | 2.10 | 1.75 | 1.54 | 1.34 | 1.00 |
| 10092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10093 | კოტბუსი -დუისბურგი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10094 | კარლსრუე-არმინია | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10096 | ჰანზა-შალკე | 4.70 | 2.10 | 2.10 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10098 | მიონხენგლადბახი-კოლნი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10099 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10100 | მიუნხენი 1860-ფიურტი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10101 | აუე-აუგსბურგი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10102 | პადერბორნი-კარლ ცაისი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10103 | ოფენბახი-კობლენცი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10104 | ვეენი-მაინცი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10105 | ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10106 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10204 | ბასტია-ბულონი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10205 | ბრესტი-აიაჩო | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10206 | შატორუ-სედანი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10207 | კლერმონი-ანჟე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10208 | გრენობლი-გენგამი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10209 | გენიონი-დიჟონი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10210 | ლე ავრი-ამიენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10211 | ლიბურნი-ნიორი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10212 | რეიმსი-მონპელიე | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10213 | ნანტი-ტრუა | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10229 | გრააფსხაპი-სპარტა | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10230 | აიაქსი-ნაიმეგენი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10234 | ფეიენოორდი-ექსელსიორი | 1.30 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.07 |
| 10236 | ჰერაკლესი-ვიტესი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10237 | ალკმაარი-ჰერენვენი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10238 | ტილბურგი-ბრედა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10239 | როდა-უტრეხტი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10240 | გრონინგენი-ტვენტე | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10241 | ემენი-ზვოლე | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10242 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10243 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10244 | ჰელმონდი-კამბური | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10245 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10246 | იგლმი-ომნივორლდი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10247 | აპელდორნი-ვინდჰოვენი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10248 | დენ ჰააგა-სიტარდი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10249 | ოსი-როზენდალი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10250 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11085 | ვერდერი-ჰერტა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11087 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11088 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11089 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11090 | ბოხუმი-ბაიერნი | 8.50 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.00 |
| 11092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11093 | კოტბუსი -დუისბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11094 | კარლსრუე-არმინია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11096 | ჰანზა-შალკე | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11098 | მიონხენგლადბახი-კოლნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11099 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11100 | მიუნხენი 1860-ფიურტი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11101 | აუე-აუგსბურგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11102 | პადერბორნი-კარლ ცაისი | 3.00 | 10:00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11103 | ოფენბახი-კობლენცი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11104 | ვეენი-მაინცი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11105 | ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11106 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11204 | ბასტია-ბულონი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11205 | ბრესტი-აიაჩო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11206 | შატორუ-სედანი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11207 | კლერმონი-ანჟე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11208 | გრენობლი-გენგამი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11209 | გენიონი-დიჟონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11210 | ლე ავრი-ამიენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11211 | ლიბურნი-ნიორი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11212 | რეიმსი-მონპელიე | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11213 | ნანტი-ტრუა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11229 | გრააფსხაპი-სპარტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11230 | აიაქსი-ნაიმეგენი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11232 | პსვ-ვენლო | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11234 | ფეიენოორდი-ექსელსიორი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11236 | ჰერაკლესი-ვიტესი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11237 | ალკმაარი-ჰერენვენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11238 | ტილბურგი-ბრედა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11239 | როდა-უტრეხტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11240 | გრონინგენი-ტვენტე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11241 | ემენი-ზვოლე | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11242 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11243 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11244 | ჰელმონდი-კამბური | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11245 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11246 | იგლმი-ომნივორლდი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11247 | აპელდორნი-ვინდჰოვენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11248 | დენ ჰააგა-სიტარდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11249 | ოსი-როზენდალი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11250 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12085 | ვერდერი-ჰერტა | 2.00 | 1.50 |
| 12087 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.90 | 1.60 |
| 12088 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.70 | 1.80 |
| 12089 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.80 | 1.70 |
| 12090 | ბოხუმი-ბაიერნი | 2.00 | 1.50 |
| 12092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.80 |
| 12093 | კოტბუსი -დუისბურგი | 1.70 | 1.80 |
| 12094 | კარლსრუე-არმინია | 1.90 | 1.60 |
| 12096 | ჰანზა-შალკე | 1.80 | 1.70 |
| 12098 | მიონხენგლადბახი-კოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12099 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.90 | 1.70 |
| 12100 | მიუნხენი 1860-ფიურტი | 1.80 | 1.70 |
| 12101 | აუე-აუგსბურგი | 1.80 | 1.70 |
| 12102 | პადერბორნი-კარლ ცაისი | 1.70 | 1.80 |
| 12103 | ოფენბახი-კობლენცი | 1.80 | 1.70 |
| 12104 | ვეენი-მაინცი | 1.90 | 1.60 |
| 12105 | ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი | 1.90 | 1.60 |
| 12106 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 12204 | ბასტია-ბულონი | 1.70 | 1.90 |
| 12205 | ბრესტი-აიაჩო | 1.50 | 2.10 |
| 12206 | შატორუ-სედანი | 1.50 | 2.00 |
| 12207 | კლერმონი-ანჟე | 1.50 | 2.10 |
| 12208 | გრენობლი-გენგამი | 1.60 | 1.90 |
| 12209 | გენიონი-დიჟონი | 1.60 | 2.00 |
| 12210 | ლე ავრი-ამიენი | 1.70 | 1.90 |
| 12211 | ლიბურნი-ნიორი | 1.60 | 1.90 |
| 12212 | რეიმსი-მონპელიე | 1.60 | 2.00 |
| 12213 | ნანტი-ტრუა | 1.60 | 1.90 |
| 12229 | გრააფსხაპი-სპარტა | 2.00 | 1.50 |
| 12230 | აიაქსი-ნაიმეგენი | 2.20 | 1.40 |
| 12232 | პსვ-ვენლო | 2.30 | 1.30 |
| 12234 | ფეიენოორდი-ექსელსიორი | 2.30 | 1.40 |
| 12236 | ჰერაკლესი-ვიტესი | 1.90 | 1.70 |
| 12237 | ალკმაარი-ჰერენვენი | 2.20 | 1.40 |
| 12238 | ტილბურგი-ბრედა | 1.90 | 1.60 |
| 12239 | როდა-უტრეხტი | 2.00 | 1.60 |
| 12240 | გრონინგენი-ტვენტე | 1.90 | 1.70 |
| 12241 | ემენი-ზვოლე | 2.20 | 1.40 |
| 12242 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 2.10 | 1.50 |
| 12243 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 2.20 | 1.40 |
| 12244 | ჰელმონდი-კამბური | 2.30 | 1.40 |
| 12245 | ვალვაიკი-ვეენდამი | 2.20 | 1.40 |
| 12246 | იგლმი-ომნივორლდი | 2.30 | 1.40 |
| 12247 | აპელდორნი-ვინდჰოვენი | 2.40 | 1.30 |
| 12248 | დენ ჰააგა-სიტარდი | 2.20 | 1.40 |
| 12249 | ოსი-როზენდალი | 2.00 | 1.50 |
| 12250 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 2.10 | 1.50 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13085 | ვერდერი-ჰერტა | 1.60 | 1.90 |
| 13087 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.50 | 2.00 |
| 13088 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.60 | 1.90 |
| 13089 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.50 | 2.00 |
| 13090 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.70 | 1.80 |
| 13092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.50 | 2.00 |
| 13093 | კოტბუსი -დუისბურგი | 1.60 | 1.90 |
| 13094 | კარლსრუე-არმინია | 1.50 | 2.00 |
| 13096 | ჰანზა-შალკე | 1.50 | 2.00 |
| 13098 | მიონხენგლადბახი-კოლნი | 1.50 | 2.00 |
| 13099 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.60 | 1.90 |
| 13100 | მიუნხენი 1860-ფიურტი | 1.60 | 1.90 |
| 13101 | აუე-აუგსბურგი | 1.60 | 1.90 |
| 13102 | პადერბორნი-კარლ ცაისი | 1.60 | 1.90 |
| 13103 | ოფენბახი-კობლენცი | 1.50 | 2.00 |
| 13104 | ვეენი-მაინცი | 1.50 | 2.10 |
| 13105 | ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი | 1.60 | 1.90 |
| 13106 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 1.50 | 2.00 |
| 13204 | ბასტია-ბულონი | 1.80 | 1.70 |
| 13205 | ბრესტი-აიაჩო | 1.90 | 1.60 |
| 13206 | შატორუ-სედანი | 1.90 | 1.60 |
| 13207 | კლერმონი-ანჟე | 1.90 | 1.60 |
| 13208 | გრენობლი-გენგამი | 1.90 | 1.60 |
| 13209 | გენიონი-დიჟონი | 1.80 | 1.70 |
| 13210 | ლე ავრი-ამიენი | 1.90 | 1.60 |
| 13211 | ლიბურნი-ნიორი | 1.80 | 1.70 |
| 13212 | რეიმსი-მონპელიე | 1.90 | 1.60 |
| 13213 | ნანტი-ტრუა | 1.90 | 1.60 |
| 13229 | გრააფსხაპი-სპარტა | 1.40 | 2.10 |
| 13230 | აიაქსი-ნაიმეგენი | 2.10 | 1.50 |
| 13232 | პსვ-ვენლო | 2.50 | 1.30 |
| 13234 | ფეიენოორდი-ექსელსიორი | 2.10 | 1.40 |
| 13236 | ჰერაკლესი-ვიტესი | 1.50 | 2.00 |
| 13237 | ალკმაარი-ჰერენვენი | 1.40 | 2.30 |
| 13238 | ტილბურგი-ბრედა | 1.40 | 2.20 |
| 13239 | როდა-უტრეხტი | 1.40 | 2.20 |
| 13240 | გრონინგენი-ტვენტე | 1.50 | 2.10 |
| 13241 | ემენი-ზვოლე | 1.30 | 2.60 |
| 13242 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 1.30 | 2.50 |
| 13243 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 1.30 | 2.60 |
| 13244 | ჰელმონდი-კამბური | 1.30 | 2.50 |
| 13245 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.40 | 2.20 |
| 13246 | იგლმი-ომნივორლდი | 1.40 | 2.20 |
| 13247 | აპელდორნი-ვინდჰოვენი | 1.30 | 2.50 |
| 13248 | დენ ჰააგა-სიტარდი | 1.30 | 2.40 |
| 13249 | ოსი-როზენდალი | 1.40 | 2.20 |
| 13250 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 1.40 | 2.20 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17085 | ვერდერი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17087 | ლევერკუზენი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ნიურნბერგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | კოტბუსი -დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | კარლსრუე-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ჰანზა-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17098 | მიონხენგლადბახი-კოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ფრაიბურგი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17100 | მიუნხენი 1860-ფიურტი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | აუე-აუგსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | პადერბორნი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | ოფენბახი-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ვეენი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ბასტია-ბულონი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | ბრესტი-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17206 | შატორუ-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17207 | კლერმონი-ანჟე | 1.85 | 1.95 |
| 17208 | გრენობლი-გენგამი | 1.85 | 1.95 |
| 17209 | გენიონი-დიჟონი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ლე ავრი-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17211 | ლიბურნი-ნიორი | 1.85 | 1.95 |
| 17212 | რეიმსი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ნანტი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17229 | გრააფსხაპი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17230 | აიაქსი-ნაიმეგენი | 1.85 | 1.95 |
| 17232 | პსვ-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ფეიენოორდი-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ჰერაკლესი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | ალკმაარი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17238 | ტილბურგი-ბრედა | 1.85 | 1.95 |
| 17239 | როდა-უტრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17240 | გრონინგენი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17241 | ემენი-ზვოლე | 1.85 | 1.95 |
| 17242 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17243 | დორდრეხტი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17244 | ჰელმონდი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17245 | ვალვაიკი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17246 | იგლმი-ომნივორლდი | 1.85 | 1.95 |
| 17247 | აპელდორნი-ვინდჰოვენი | 1.85 | 1.95 |
| 17248 | დენ ჰააგა-სიტარდი | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ოსი-როზენდალი | 1.85 | 1.95 |
| 17250 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 1.85 | 1.95 |

ერთი კვირაა, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გლდანშია შეკრებილი და სეზონის დამაგვირგვინებელი საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. შოთა ხაბარელის სამწყსომ სალიცენზიო მსოფლიოს თასები და სუპერთასები წლეულს უკვე მოილია და ახლა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე იჭიდავებს. სულ ბოლოს, დეკემბერში, კიმონოს მძიმეწონოსნები მოირგებენ. იანვირდან კი ოლიმპიური ციებ-ცხელება ისევ გახურდება. ნაკრების თავკაცს გუშინ, დილის ვარჯიშის დასრულებისთანავე შევხვდით



# შოთა ხაბარელი: პეკინში საუკეთესოები იჭიდავებენ

— 26 ოქტომბერს მინსკში გავემგზავრებით, 27-ში კი გუნდურ ევროპირველობაზე ვიჭიდავებთ. ეს წლეულს ბოლო საერთაშორისო ტურნირია, რომელშიც ყველა წონითი კატეგორიის ძიუდოისტებით გამოვალთ. სეზონს კი პოლონეთში ჩასატარებელი აბსოლუტური წონის ევროპის ჩემპიონატი დაგვირგვინებს. ეს უცხოური გეგმებია, ხოლო შინაურ ფრონტზე წლის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატი გველის და ამ ტურნირს ტრადიციულად უდიდესი მნიშვნელობა ექნება სამომავლწლო ნაკრების დაკომპლექტებაში.

**— გუნდურ ჩემპიონატზე უძლიერესი შემადგენლობით გამოხვალთ?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ და ყველა მეტოქე განსაკუთრებული მონდომებით გვეჭიდავება.

**— წინასატურნირო შეკრებაზე მარტო მინსკში წასაყვან ძიუდოისტებს ავარჯიშებთ?**

— არა. გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრში გაფართოებული შემადგენლობით შევიკრიბეთ. ყველა წონაში 5-6 კაცი ვარჯიშობს.

**— სალიცენზიო სეზონი ბაქოს მსოფლიოს თასით დაიხურა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 5 ლიცენზია უკვე განაღდებულია, წლევანდელი შედეგებით კმაყოფილი უნდა იყოთ...**

— უკმაყოფილების საბაბი მართლაც არ არსებობს. მსოფლიოს ჩემპიონატზე ოლიმპიადის ხუთი საგზური არც ერთ ქვეყანას არ მოუპოვებია. დარჩა ორი წონა, რომლებშიც ქულების გროვებით უნდა მივაღწიოთ მიზანს. წესით, ესეც არ უნდა გაგვიჭირდეს.

**— ულიცენზიოდ დარჩენილი ორი წონიდან ერთი 66 კილოგრამი თუ იქნებოდა, იფიქრებდით?**

— ზაზა კედელაშვილი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და მისგან მართლაც ველოდით, რომ რიოშივე მოიპოვებდა ლიცენზიას. თუმცა ეს რომ ვერ შეძლო, ტრაგედია სულაც არაა. სპორტია და ყველაფერი ხდება. ზაზა ოლიმპიადისთვის საჭირო ქულებს აუცილებლად დააგროვებს.

**— მაგრამ მას მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ როტერდამის სუპერთასიც ჩაუვარდა. ბაქოს თასზე კი მესამე ადგილი დაიკავა, რაც ორგზის ევროპის ჩემპიონისთვის დიდი წარმატება არ უნდა იყოს...**

— ბრაზილიური იმედგაცრუების შემდეგ ფსიქოლოგიურად ცოტა გაუჭირდა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. საგანგაშო არაფერია, ჩვეულად მალე აჭიდავდება.

**— მეორე ულიცენზიო წონაში, 81 კილოგრამში ვის აქვს ყველაზე რეალური შანსი?**

— აქამდე ყველაზე მეტი ქულა გიორგი ბაინდურაშვილმა დააგროვა, მაგრამ ჯერ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ სხვებზე მეტი შანსი აქვს. ამ წონაში საკმაოდ ძლიერი კონკურენციაა. ნაკრების პირველნომრობისთვის ხუთი კაცი იბრძვის და საკუთარი შესაძლებლობების გამოჩენის შანსი ხუთივეს მიეცემა.

**— წინ რამდენი სალიცენზიო ტურნირია?**

— შვიდი. მათგან ერთი თბილისის მსოფლიოს თასია, რომელზეც, როგორც მასპინძლები, თითო წონაში ოთხ ძიუდოისტს ვაჭიდავებთ. ამ ოთხეულებს კი საქართველოს ჩემპიონატი გამოავლენს.

**— ლიცენზიაგანაღდებულ ხუთ ძიუდოისტს სხვებზე ნაკლებად დატვირთავთ?**

— ძირითადად ახალგაზრდებს და ნაკრების სხვა კანდიდატებს მივცემ თავის გამოჩენის შანსს, თუმცა არც ამ ხუთეულს მოაკლდება სატურნირო გამოცდილება. ფორმის შესანარჩუნებლად მათაც არაერთხელ მოუწევთ ტატამზე გასვლა.

**— დაბოლოს, პეკინში აუცილებლად ის ხუთი კაცი წავა, ვინც რიო დე ჟანეროში ლიცენზია მოიპოვა?**

— ასეც ნუ ვიტყვით. ოლიმპიადამდე ჯერ დიდი დროა და ჩინეთში ის ძიუდოისტები იჭიდავებენ, ვინც საუკეთესო ფორმაში იქნებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42ა, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



# ესპანური ინტრიგა

## ნაცვლიშვილმა ვიგოელებს თანხა დაუსახელა

**ვახტანგ ნაცვლიშვილმა სანაკრებო კარიერა გასული საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლოს დაასრულა, თუმცა თამაშისთვის თავის დანებებას ჯერ არ აპირებს. როგორც ვატომ თქვა, საკლუბო დონეზე კიდევ ერთი წელი ითამაშებს და თუკი ჯანი გასწვდება, კარიერის ბოლო წლებს საქართველოში ჩაამთავრებს. ჯერჯერობით ის უგუნდოდაა და უცხოურ ვარიანტს ელოდება — ესპანეთის დაბალი დივიზიონის გუნდზე კი ჯერჯერობით უარს ამბობს...**



— ისევ უგუნდოდ ვარ, ჩემს მენეჯერს ველოდები, რომელმაც უცხოური ვარიანტი უნდა გამომინახოს — გვითხრა ვახტანგ ნაცვლიშვილმა.

**— ახლა არც ერთი შემოთავაზება არ გაქვს?**

— მაქვს ერთი ვარიანტი, რომელზეც უკვე რამდენჯერმე ვთქვი უარი, მაგრამ მაინც არ მეშვებიან. ესპანეთის მეორე ლიგის, ქალაქ ვიგოს გუნდია. თავდაპირველად რომ შემეხმიანნენ, უარი ვთქვი, მერე კარგა ხანი არ ჩანდნენ და გუშინ ისევ დამირეკეს.

**— საიდან მოგნახეს ვიგოელებმა?**

— საქართველოს ნაკრები პორტუგალიაში რომ იყო შეკრებაზე, პირველად მაშინ მნახეს. რუმინეთთან მატჩში კარგად ვითამაშე, ზაზა ფაჩულია გვაკლდა და ლიდერის ფუნქციები მე ვიკისრე. ვიგო ზედ პორტუგალიის საზღვართანაა და ეტყობა, ამიტომ იყვნენ იქ ამ ესპანური გუნდის წარმომადგენლები. მე მათ პორტუგალიაშივე ვუთხარი უარი, მაგრამ ასეთი დაინტერესებულები რომ არიან და არ მეშვებიან, მეც დავინტრიგდი. მაინტერესებს, რა გუნდია და რატომ არიან ასე მონდომებულნი.

**— ესე იგი, შესაძლებელია, წახვიდე?**

— მე გუშინ ვიგოელებს კონკრეტული თანხა დავუსახელე და თუ მის გადახდაზე დათანხმდებიან, წავალ ესპანეთში. არადა, სხვა ვარიანტს დაველოდები.

**— საქართველოში არ ითამაშებ? ამას წინათ „ავიამშენში" ვარჯიშობდი და ლევან მოსეშვილმა თქვა კიდეც, ნაცვლიშვილი თუ დაგვეხმარება, მოხარულები ვიქნებითო...**

— არ ვიცი, ამ სეზონშივე ვითამაშებ საქართველოში თუ არა, მაგრამ მომავალი წლიდან ალბათ ყველა ვარიანტში ჩამოვალ და კარიერას აქ დავასრულებ. თუ ახლა უცხოეთში არ წავედი, გამორიცხული არაა, ამ სეზონშივე შევუერთდე რომელიმე ქართულ გუნდს, მაგრამ ჯერ შემოთავაზება არავისგან არ მქონია. ვნახოთ, რა იქნება.

**— ახლა სად ვარჯიშობ?**

— „ავიამშენში" აღარ ვარ, რადგან პირადი საქმეები მაქვს და ვერ ვიცლიდი. თუმცა ინდივიდუალური ვარჯიში არ შემიწყვეტია. აუზზე დავდივარ და ფორმას ვინარჩუნებ.

**ირაკლი პერტაია**



RUGBY WORLD CUP 2007

IRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# მოტივაცია, რომელიც ბრინჯაოზე მეტია

მესამე ადგილისთვის

დღეს. 23.00. პარიზი. სენ დენი

**საფრანგეთი — არგენტინა**

| საფრანგეთი | | არგენტინა |
|---|---|---|
| კლემენ პოიტრინუ | 15 | იგნასიო კორლეტო |
| ორელიენ რუჟერი | 14 | მარტინ არამბურუ |
| დავიდ სკრელა | 13 | გონსალო ტიესი |
| დემიენ ტრაი | 12 | ფელიპე კონტეპონი |
| კრისტოფ დომინისი | 11 | ორასიო აგულა |
| ფრედერიკ მიშალაკი | 10 | ხუან ერნანდესი |
| ჟან-ბატის ელისალდე | 9 | აგუსტინ პიშო (კაპ) |
| იმანოლ არინორდოკი | 8 | გონსალო ლონგო |
| ტიერი დუზატუარი | 7 | ხუან ლობე |
| იანიკ ნიანგა | 6 | მარტინ დურანი |
| ჟერომ პილონგი | 5 | პატრიციო ალბასეტე |
| ლიონელ ნალე | 4 | ლიმას კაირელისი |
| პიტერ დევილიე | 3 | ომარ ჰასანი |
| რაფაელ იბანიესი (კაპ) | 2 | ალბერტო ბასუალდო |
| ჟან-ბატის პო | 1 | როდრიგო რონსერო |
| **სათადარიგონი** | | |
| სებასტიენ ბრუნო | 16 | მარკოს აიერცა |
| ნიკოლა მა | 17 | ეუსებიო გუინაზუ |
| სებასტიენ შაბალი | 18 | ესტებან ლოსადა |
| რემი მარტინი | 19 | ხუან ლეგუიზამონი |
| პიერ მინიონი | 20 | ნიკოლას მირანდა |
| ლეონელ ბოგზი | 21 | ფრედერიკო ტოდესკინი |
| ვინსან კლერკი | 22 | ერნან სენილოსა |



აგუსტინ პიშო და ჟან-ბატის ელისალდე

**„ჩვენთვის** მესამე ადგილისთვის თამაშს მნიშვნელობა აღარ აქვს" — ცხელ გულზე აღმოხდა არგენტინელთა კაპიტან ავგუსტინ პიშოს. მას შემდეგ თითქმის ერთმა კვირამ განვლო, ვნებებიც მინელდა და ალბათ გუნდებიც საპატიო მესამე ადგილისთვის ერთმანეთს აღარ დაზოგავენ.

საფრანგეთი მასპინძელია და „პუმებმა" მათ მსოფლიოს თასის გახსნით მატჩში ალიყური აწნიეს, პოდა, გუნდების მოტივაციების ქექასაც მოვრჩეთ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ფრანგებისთვის ვალის გასტუმრება თავმოყვარეობის და გულშემატკივრებთან რეაბილიტაციის საკითხიცაა. არგენტინელები კი თავს დაიცავენ და კიდევ ერთხელ დაუმტკიცებენ მთელ ოვალურ სამყაროს, რომ შემთხვევით არ მოიაზრებიან რაგბის ტიტანთა მარაქაში.

არგენტინელებმა ბოლო ექვსი შეხვედრიდან ფრანგებს ხუთი მოუგეს. „პუმები" ამჯერადაც, მიუხედავად განცდილი იმედგაცრუებისა, მოსაგებად გავლენ მოედანზე და მათ კვლავაც ავგუსტინ პიშო უკაპიტნებთ. მარსელო ლოფრედამ სამხრეთ აფრიკასთან ნაბრძოლი ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხი მორაგბე შეცვალა, ხოლო მთლიანად განაცხადში ნახევარფინალში უთამაშებელი ექვსი მორაგბე იბურთავებს. 10 ნომრად კვლავ ხუან მარტინ ერნანდესი გაირჯება. ამ მართლაც ვარსკვლავგამთამაშებელს „ქურციკებთან" შეხვედრა ჩაუვარდა და შავ კონტინენტელებთან მარცხიც უპირატესად ამან გამოიწვია.

რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა გალთა ბანაკში. ბერნარდ ლაპორტმა ათი ცვლილება მოახდინა და აქედან ცხრა ძირითად შემადგენლობაში. აღსანიშნავია, რომ ფრედერიკ მიშალაკი და ჟან-ბატისტ ელისალდე დასაწყისიდანვე მიეძალებიან მოწინააღმდეგეს. ქალთა გულის მპყრობელი სებასტიან შაბალი კი სათადარიგოთა შორის იქნება და, როგორიც ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერადაც მეორე ტაიმში შევა მინდორზე.

**ზურაბ მიგრიაული**

# გაუმარჯოს ქურციკებს

## საფრანგეთი ინგლისს ვერ გადაიტანს

საქართველო — შოტლანდიის საფეხბურთო მატჩისწინა პრესკონფერენციაზე პოპულარული ფრანგული გამოცემა „ეკიპის" ჟურნალისტი **ჟერომ ლე ფოლონიე** გამოგველაპარაკა. საფეხბურთო ამბებზე კითხვა-პასუხის შემდეგ ჟერომ ლე ფოლონიეს საფრანგეთში მიმდინარე სარაგბო მსოფლიოს თასზე ჩამოვუგდე სიტყვა და სტუმარიც საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა...



— ნახევარფინალში ინგლისმა საფრანგეთს რომ მოუგო, სწორედ იმ ღამეს გამოვფრინდი თბილისში და ნეტავ იმ საშინელ ღამეს სახლიდან ფეხი არ გამედგა. ეს ჩვენთვის ტრაგედია იყო. ჩვენებმა უაზროდ წააგეს და თასის მოგების ოცნება ოცნებად დარჩა, ყველაზე საშინელი სანახავი კი ლამის ოცი ათასი ინგლისელი ფანის ტრიუმფალური თაღის წინ და ელისეს მინდვრებზე ზეიმი იყო. ამას თუ მოვესწრებოდით, ნაღდად არ მეგონა.

**— საფრანგეთში რას ამბობენ, მაინც რა იყო წაგების მიზეზი?**

— ყველა განადგურებულია... ტაქტიკურად ჩვენებმა თითქოს უშეცდომოდ ითამაშეს, თავი არავის დაუზოგავს. წაგების მიზეზი მაინც ჩვენების ხასიათში უნდა ვეძებოთ. თუ გახსოვთ, 1999 წლის მსოფლიოს თასის ნახევარფინალში საფრანგეთმა ყველასთვის მოულოდნელად ჯონა ლომუს და ტანა უმაგას ახალ ზელანდიას მოუგო, ფინალში კი რაგბის გარდა ყველაფერი ითამაშა. ასე დაემართათ ახლაც, ახალ ზელანდიას მეოთხედფინალში მოუგეს და თავი უკვე ჩემპიონები ეგონათ. ამის გამო ინგლისთან მოტივირებულად ვეღარ ითამაშეს. არადა, მეტი მოტივაცია რაღა უნდოდათ? ახლა ადგნენ და მესამე ადგილისთვის ითამაშონ. ეს მატჩი გინდ ყოფილა, გინდ არა...

**— რატომ?**

— „დიდი ხუთეულიდან" საფრანგეთი ერთადერთია, მსოფლიოს ჩემპიონი რომ არ გამდხარა. ამაზე უკეთესი შანსი ჩვენებს კიდევ ოცი წელი არ მიეცემათ. წარმოიდგინეთ, მომავალი თასი ახალ ზელანდიაში იმართება და „კივები" დაგითმობენ რამეს?

ამის შემდეგ ლე ფოლონიეს ვკითხე, ფინალში ალბათ მთელი საფრანგეთი სამხრეთ აფრიკას უქომაგებს-მეთქი. ლე ფოლონიეს სახე შეეცვალა. პიტბულივით შეიღრინა და...

— ფინალში ინგლისმა რომ მოიგოს, ნახევარ საფრანგეთს გულის შეტევა დაემართება. სამხრეთ აფრიკამ უნდა მოიგოს! ინგლისის ტრიუმფი ჩვენს მიწაზე არ იქნება. ჯგუფის ეტაპზე რომ მიანგრიეს, იგივე უნდა გააკეთონ ახლაც აფრიკელებმა.

**— საქართველოს ნაკრების თამაშზე რას იტყვით?**

— ძალიან მაგარი ბიჭები არიან, რა ცოტა დააკლდათ ირლანდიის დასამარცხებლად. ისე, ჩვენი წვლილიც ხომ არის თქვენების წარმატებაში. ერთი-ორი კაცის გარდა ყველა საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს და იქ გაიზარდნენ როგორც მაღალი კლასის მორაგბეები.

**ბაჩო სვანიძე**

ფინალი

ხვალ. 23.00. პარიზი. სტად ფრანსე

**ინგლისი — სამხრეთ აფრიკა**

| ინგლისი | | სამხრეთ აფრიკა |
|---|---|---|
| ჯეისონ რობინსონი | 15 | პერსი მონტგომერი |
| პოლ სეკი | 14 | ჯიპი პიტერსენი |
| მეტიუ ტაიტი | 13 | ჟაკ ფური |
| მაიკ ქეთი | 12 | ფრანსის შტეინი |
| მარკ კუეტო | 11 | ბრაიან ჰაბანა |
| ჯონი უილკინსონი | 10 | ბაჩ ჯეიმსი |
| ენდი გომარსალი | 9 | ფური დიუპრე |
| ნიკ ისტერი | 8 | დენი როსოუ |
| ლუის მუდი | 7 | ჟუან სმიტი |
| მარტინ ქორი | 6 | სხალკ ბურხერი |
| ბენ კეი | 5 | ვიქტორ მეტფილდი |
| საიმონ შოუ | 4 | ბაქის ბოთა |
| ფილ ვიკერი (კაპ) | 3 | ფან დერ ლინდე |
| მარკ რეგანი | 2 | ჯონ სმიტი (კაპ) |
| ენდრიუ შერიდანი | 1 | ოზ დიურანი |
| **სათადარიგონი** | | |
| ჯორჯ შუტერი | 16 | ბისმაკ დიუპლესი |
| მეტ სტივენსი | 17 | ჟანი დიუპლესი |
| ლოურენს დალალიო | 18 | იოანეს მიულერი |
| ჯო ვორსლი | 19 | ფიკუს ფან ჰეერდენი |
| პიტერ რიჩარდსი | 20 | რუან პიენაარი |
| ტობი ფლუდი | 21 | ანდრე პრეტორიუსი |
| დენ ჰიპკისი | 22 | ფინანდ ოლივერი |

# იგივენი და კუეტო

**რაგბის** საერთაშორისო საბჭოს მიერ დადგენილი წესით, თასის ფინალისტების მწვრთნელებმა თავიანთი შემადგენლობები მატჩამდე 48 საათით ადრე გამოაცხადეს. ინგლისელთა მწვრთნელმა ბრაიან ეშტონმა ნახევარფინალში მასპინძელი საფრანგეთის მომგებ შემადგენლობაში ერთი იძულებითი ცვლილება გააკეთა. ფრანგების პირველივე წუთზე დამლელოვებელი ჯო ლუსის ნაცვლად, ვისაც კუნთი აქვს გაწყვეტილი, ძირითად რაზმში მარკ კუეტო ირაგბებს. სამარქაფოში კუეტოს ადგილს კი ტობი ფაუდი დაიკავებს.

სამხრეთაფრიკელთა საბრძოლო 22-ეული იგივეა, რაც არგენტინასთან იყო. მათი მწვრთნელი ჯეკ ვაიტი კი ფინალის შემდეგ გუნდიდან მიდის, მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდება თამაში. „ეს ჩემთვის ბოლო მატჩი იქნება „ქურციკების" მწვრთნელის რანგში. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ თასის დაწყებამდე მივიღე და აღარ შევცვლი" — თქვა ვაიტმა.

**ბაჩო სვანიძე**

# მადრიდში შანხაი გაიცხრილა



ფერნანდო გონსალესი

**კაცები**

მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი. ჰარდი (დარბაზი)

საპრიზო 2 082 500 ევრო

**მეორე წრე**

**შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ივან ლიუბიჩიჩი (12, ხორვატია) 6:3 6:7 7:5; **ფელიჩიანო ლოპესი** (ესპან-ეთი) — დავიდ ფერერი (7, ესპანეთი) 7:6 7:5; **ნიკლას კიფერი** (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (16, რუსეთი) 6:1 6:3; **მარიო ანჩიჩი** (ხორ-ვატია) — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 6:3 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — რიშარ გასკე (10, საფრანგეთი) 7:6 7:5; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა) — ტომი რობრედო (8, ესპანეთი) 6:7 6:4 6:3; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — მარკოს ბაღდატისი (კვიპრ-ოსი) 6:4 6:4

**მესამე წრე**

**ფერნანდო გონსალესი** (5, ჩილე) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3 2:6 6:4

**ქალები**

ციურიხი. შვეიცარია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 1 340 000 $

**პირველი წრე**

**ფრანჩესკა შიავონე** (იტალია) — ელენა დემენტიევა რუსეთი) 4:6 6:1 4:2 (უარი)

**მეორე წრე**

**ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი) — ელენა იანკოვიჩი (3, სერბეთი) 6:4 6:4; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — ამელი მორესმო (8, საფრანგეთი) 2:6 6:4 6:1; **მარიონ ბარტოლი** (9, საფრანგეთი) — მიქაელა კრაიჩეკი ჰოლანდია) 6:4 6:1; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ანა ივანოვიჩი (5, სერბეთი) 6:3 6:1

**ისეთი** პირი უჩანს, რომ მადრიდში წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრისთვის მებრძოლ მეჩოგნეთა რიგები მადრიდში გვარიანად გაიცხრილება და ამ კვირის ბოლოს შანხაიში წამსვლელთა ვინაობა თითქმის მთლიანად გაირკვევა. ეს ყველაფერი ესპანეთის დედაქალაქში მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირის მეორე წრეში გაირკვა, როცა ჩინეთში წასვლისთვის მებრძოლი ერთბაშად ხუთი ჩოგბურთელი დამარცხდა — არადა, მათ რაც შეიძლება, შორს გასვლა და შესაბამისად, ქულების დაგროვება ესაჭიროებოდათ.

თანმიმდევრობით მივყვეთ და მეორე წრის უიღბლოთა ვინაობა დავასახელოთ — დავიდ ფერერს, ჯეიმს ბლეიკს, ივან ლიუბიჩიჩს, რიშარ გასკესა და ტომი რობრედოს მოსალოდნელზე ადრე მოუწიათ ტურნირის დატოვება. ამათგან ორი სულაც თანამემამულეებმა შეიწირეს — პოლ-ანრი მატიომ გასკე, ფელიჩიანო ლოპესმა კი ფერერი გაამწარეს.

ყველაზე მოულოდნელი მაინც რობრედოს მარცხი გახლდათ. მას აყლაყუდა ხუან მარტინ დელ პოტრომ აჯობა. ეს არგენტინელი ჰარდის სპეციალისტად არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ ესპანელს მაინც გასწვდა. აი, ჯეიმს ბლეიკს კი ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ კორტზე მობრუნებულმა მარიო ანჩიჩმა მოუგო, რომელმაც ამერიკელი ეისებით დაბომბა და საათზე ოდნავ მეტი მოანდომა მის ბეჭებზე გაკვრას.

ყოველივე ამის შედეგად ზემოთ ჩამოთვლილმა ხუთეულმა შანხაიში მოხვედრის შანსები მნიშვნელოვნად გაიუარესა, რაც პირდაპირ მისწრება აღმოჩნდა მათი უშუალო კონკრენტის ფერნანდო გონსალესისთვის. ჩილელი თავისი უიღბლო ოპონენტებისგან განსხვავებით, უკვე მეოთხედფინალშია, რადგანაც გუშინ ორ სეტში გაუმკლავდა ხუან მონაკოს და კიდევ წინ თუ წაიწია, რეიტინგში თავის მეშვიდე პოზიციას ფრიად გაიმყარებს და შეიძლება, დაწინაურდეს კიდეც.

სამაგიეროდ, მადრიდში წარმატებული დებიუტი ჰქონდათ ადგილობრივთა კერპ რაფაელ ნადალსა და მსოფლიოს მესამე ჩოგან ნოვაკ ჯოკოვიჩს. განსაკუთრებულად მაინც ესპანელი ვარსკვლავბიჭუნას თამაშს ელოდნენ — ის ხომ აშშ-ს ღია პირველობის მეოთხე წრეში მუხლების ტრავმის გამო წაგების შემდეგ კორტზე ერთხელაც არ გასულა და ამიტომაც ყველას აინტერესებდა რაფას სათამაშო ფორმა. თუმც ნადალს ტრავმისა არაფერი ეტყობოდა, უკანა ხაზზე ჩვეულად სწრაფი იყო და ამიტომ მარკოს ბაღდატისთან პრობლემაც არ შექმნია.

„ამდენი ხნის უთამაშებლობის შემდეგ არასოდეს იცი, კორტზე როგორ იგრძნობ თავს, მაგრამ ამ კუთხით გამიმართლა, რადგანაც საჭირო ტემპი მალევე დავიჭირე“ — განაცხადა ნამატჩევს მადრიდის მასტერსის შარშანწინდელმა ჩემპიონმა, რომელსაც მეოთხედფინალის საგზურისთვის ენდი მიურეისთან დატაკება მოუწევს.

ჯოკოვიჩი კი უკვ მეოთხედფინალშია, მაგრამ იქ მოხვედრა საკმაოდ გაუჭირდა. ბალკანელმა გზად ორი მასპინძელი — ფერნანდო ვერდასკო და ხუან-კარლოს ფერერო ჩამოიცილა და ორივესთან ფრიად გაწვალდა. თუმც გამარჯვებულებს არ ასამართლებენ.

მოულოდნელობები არ აკლდა ციურიხის ქალთა ტურნირსაც, სადაც ერთდროულად დაიფრინეს სერბი ვარსკვლავები — ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი. ისე, ოქტომბერი ორივესთვის ძალიან უიღბლო გამოდგა, რადგანაც ამ თვეში ვერც ერთმა ვერ მოახერხა კინკილა მატჩის მოგებაც კი.

იგივე მოხდა შვეიცარიაშიც — იანკოვიჩს ნიკოლ ვაიდიშოვამ მოუგო, ივანოვიჩი კი ტატიანა გოლოვინმა გაანადგურა და მხოლოდ ოთხი გეიმი აალებინა.

ალპებს ამელი მორესმოც გამოეთხოვა — ბოლო კვირებია, ფრანგი ამაზრზენად გამოიყურება და მდგომარეობა არც ახლა გამოსწორებულა, რადგანაც ამელის სკალპი ალიონა ბონდარეკომ ახადა.

**ქახა ლომჯაშვილი**

# ჩახნაშვილი ოზბილერთან გაჩერდა

**ციპორა** ობზილერი გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის მაკა ჩახნაშვილისთვის. საფრანგეთის ქალაქ სენტ რაფაელის ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში მეორე ნომრად განთესილმა ებრაელმა 6:1 6:2 გაანადგურა ქართველი და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ბოლო ხანებში ჩახნაშვილი შორს არის სასურველი სათამაშო ფორმისგან.

50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ლოურენსვილას ჰარდზე ანა ტატიშვილმა პირველ წრეში 2:6 6:4 6:3 მოუგო მასპინძელ ნიკოლ ლიმბახს და ახლა კანადელ სტეფანი დიუბუას შეხვდება, ვისაც WTA-ს რეიტინგში კარიერის უმაღლესი, 115-ე პოზიცია უკავია.



## რეგულარული ჩემპიონატი

18 ოქტომბერი

**კოლუმბუსი 2:3 დალასი**

1:1 0:0 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)

1:0 ნეში (2), 1:1 იოკინენი (4), 2:1 ნოვოტნი (49), 2:2 მოროუ (59)

**პიტსბურგი 4:5 ნიუ ჯერსი**

2:2 2:2 0:1

0:1 პანდოლფო (7), 0:2 მადენი (10), 1:2 ტელბოტი (16), 2:2 რობერტსი (18), 3:2 გონჩარი (21), 3:3 ზეიდლაკი (27), 3:4 ზეიდლაკი (35), 4:4 მალკინი (39), 4:5 ეშვი (51)

**ჩიკაგო 1:3 სენტ ლუისი**

1:2 0:1 0:0

0:1 კარია (3), 0:2 სალვადორი (7), 1:2 უილიამსი (14), 1:3 ტკაჩაკი (26)

**ანაჰაიმი 3:1 ნეშვილი**

1:0 0:0 2:1

1:0 პერი (20), 1:1 სუტერი (43), 2:1 ვირტანენი (45), 3:1 მილერი (53)



# ჰარტლის თავი

**სეზონის** ამაზრზენად დამწყებმა „ატლანტამ“, რომელმაც საწყისი ექვსივე შეხვედრა წააგო, მთავარ მწვრთნელ ბობ ჰარტლის კარისკენ მიუთითა. შარშან, ისტორიაში პირველად გასული პლეი ოფში „ტრეშერზი“ საზიზღრად გამოიყურება, რის გამოც გენერალურმა მენეჯერმა დენ უოდელმა გადაწყვიტა, ცვლილებები აუცილებელიაო — ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, მწვრთნელის თავი გაგორდება ხოლმე და აქაც სწორედ ეს მოხდა. სანამ გუნდს ახალ თავკაცს გამოუძებნის, ჰარტლის ადგილს დროებით თავად უოდელი დაიკავებს — ამ პოსტზე კი სავარაუდო კანდიდატებად გამოცდილ პეტ ქუინსა და რობი ფტორეკს ასახელებენ.

ყინულზე მომხდარი ამბებიდან კი სახეშეცვლილი „ნიუ ჯერსით“ დავიწყოთ, რომელიც სეზონის სტარტზე თავის თავს არ ჰგავს. „ეშმაკები“ ყოველთვის ჩაკეტილი თამაშითა და გაუვალი დაცვით იყვნენ ცნობილნი. შეტევითი ჰოკეის მოტრფიალე არც ისტ რუზერფორდელთა ახალი თავკაცი ბრენტ სატერია, რომელმაც კანადის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატი იმის ხარჯზე მოიგო, რომ მეტოქეებს მისი გუნდი სასტიკ მარწუხებში ხუთავდა. თუმც „ეშმაკები“ ჯერჯერობით თითქმის ყოველ შეხვედრაში საგოლე ფოიერვერკს აწყობენ — წინა შეხვედრა „ატლანტას“ 6:5 მოუგეს, გუშინ კი „პიტსბურგში“ 5:4 იხეირეს.

„ეს ჩვენი სტილი არ არის, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს — სანამ ვიგებთ, საწუწუნო არაფერია“ — სულაც არ ღელავს „ნიუ ჯერსის“ ცენტრი ჯონ მედენი.

„ანაჰაიმში“ კი გახშირებული ტრავმიანობის გამო წინა პლანზე ისეთი ხალხი გამოდის, ნჰლ-ში აქამდე სერიოზული არაფერი რომ არ გაუკეთებია. ორიოდ დღი სწინ ვიუწყებოდით, რომ კენ ჰასკინსმა პირველი საკარიერო გოლი შეაგდოო — ჰოდა, გუშინ „ნეშვილთან“ შეხვედრაში ანალოგიური გმირობა კიდევ ორმა კაცმა — დრიუ მილერმა და ახალბედა პეტერ ვირტანენმა — ჩაიდინა.

უჩვეულოდ კარგად გამოიყურება „სენტ ლუისი“, რომელმაც ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო. „ბლუზმენებმა“ ამჯერად ჩიკაგოში იმარჯვეს და ამას, უპირველესად, მეტობის ბრიგადის მშვენიერ თამაშს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც სამი შესაძლებლობიდან ორი გამოიყენა.

**ქახა ლომჯაშვილი**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქურქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge